ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 1 ნოემბერი, 2017 №259 (7493) ფასი: 50 თეთრი

რომან გოცირიძე: „ლარის გაუფასურება მთავრობის ბრალია“

გვ.6

31 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

კურტიზანი ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნაწილი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ქართულმა მარშმა ფეხბურთის ფედერაციასთან ლგბტ დროშა დაწვა

გვ.5

პოლიციამ ლადო სადღობელაშვილი დააკავა

„უსუფაშვილის პარტია ბარიერს ვერასოდეს გადალახავს“

გვ.3

პეტრე მამრაძე: „კანონიერი ქურდების ჩამოყვანა ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, ივანიშვილის რიდი რომ არ ჰქონდეთ“

სოსო შატბერაშვილი: „მასობრივი აქციების მოსაწყობად ქარიზმატული ლიდერი ჯერ არ გამოჩენილა“

გვ.2

გვ.6

ვინ სპეკულირებს ლარის კურსით?

„ის, რაც ეროვნულ ვალუტას სჭირს, ეროვნული ბანკის არასწორი საქმიანობის შედეგია“

გვ.6

სამართალი გვ.7

თაღლითები გონიოში დაკარგული მყვინთავის, გიორგი ნანეტაშვილის, სახელით მის ოჯახს 39.000 დოლარს სთხოვდნენ

9 წელი ციხე საზარელი ავარიის დამნაშავისთვის, რომელსაც ოჯახის 5 წევრი შეეწირა

სარფში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

ეკონომიკა გვ.6

ტურისტულ მარშრუტებში დაცული ტერიტორიების ნუსხა გაიზრდება

რის გაკეთებას გეგმავს კახა კალაძე თბილისში

ISSN 1987-9385

2 ვახტანგ ხმალაძე: „კონსტიტუციაში ახალი ცვლილებები ის არის, რასაც ოპოზიცია ითხოვდა“

4 აგასი არაბიანმა ჯავახეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად მოიხსენია

4 დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვა 40 წლამდე დასაქმებულთათვის სავალდებულო იქნება

3 მამუკა გვაძაბია: „წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა კავკასიაში მოთამაშე მხოლოდ რუსეთი იყო“

სოსო შატბერაშვილი: „მასობრივი აქციების მოსაწყობად ქარიზმატული ლიდერი ჯერ არ გამოჩენილა“

„იმ ექსპერტებს, რომელთა პროგნოზები არ მართლდება, მოვუწოდებ, თავი დაანებონ პოლიტიკურ პარტიებს“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს გახშირებული საპროტესტო აქციებზე და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ მემარცხენე ალიანსის თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს ესაუბრა.

სოსო შატბერაშვილი:

– მართლაც, საპროტესტო გამოსვლები და მიტინგები სხვადასხვა თემაზე მომრავლდა, მაგრამ მათ მასშტაბური ხასიათი არ აქვთ. მასობრივი გამოსვლები ჩვენ სხვა დროს, მათ შორის, 2007 წელს გვახსოვს. მაშინდელი აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი მეც ვიყავი. ხალხის მასშტაბურად დარაზმვისათვის ქარიზმატული და სანდო ლიდერია საჭირო. ასეთები იყვნენ კოსტავა და გამსახურდია. მოგვიანებით ხალხის აყოლიება მოახერხა საკაშვილმა. საკაშვილი კატეგორიულად მიუღებელი და ზნეობისაგან დაცლილი პირია, მაგრამ პოლიტიკაში მან თავიდანვე ნიჭი გამოავლინა.

გასაპროტესტებელი ხალხს უამრავი აქვს – გადასახადების ზრდითა და ლარის კატასტროფულად გაუფასურებით დაწყებული, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით, უმუშევრობითა და ძველი დაბალი პენსიებით დამთავრებული. ამას ემატება ისეთი შემთხვევები, რომელიც ნუცუბიძის პლატოზე მოხდა. ხალხი უკმაყოფილოა.

– სამაგიეროდ, ხელისუფლებაა კმაყოფილი ადგილობრივი არჩევნების შედეგით.

– „ქართული ოცნება“ მარტო თავისი პირველი ადგილით კი არა, ოპოზიციითაც კმაყოფილია. ხელისუფლებას მთავარ ოპოზიციად ისევ ნაციონალური მოძრაობა ჰყავს, ასევე მისი განაყოფები – ევროპული საქართველო და გიორგი ვაშაძე თავისი პარტიით. უკმაყოფილოა საზოგადოება, რომელიც აქა-იქ მართავს აქციებს. უნდა ვთქვა, რომ ლგბტ-საკითხების წამოწევა ძალიან აწყობს ხელისუფლებას. ამ თემის აქტუალიზაციას თავისი მიზნები აქვს.

– რა მიზნები?

– ნამდვილი, მწვავე პრობლემების გადაფარვა. მეორეც, მსუყე გრანტების მიღება. ლგბტ-პირების დასაცავად უცხოეთიდან დიდი ფული შემოდის. რეალურად, საქართველოში ეს თემა აქტუალური არ არის. ჰომოსექსუალური ურთიერთობების აფიშირებასა და ამგვარ ქორწინებებზე მოთხოვნა ფაქტობრივად არ შეინიშნება. ამაზე ბევრად მწვავე პრობლემაა ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ოჯახებში.

– სხვა პარტიები აგრძელებენ ადგილობრივი არჩევნების შედეგების გაპროტესტებას. მათი ნაწილი აცხადებს, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა.

– მემარცხენე ალიანსს 2.000-მდე დამკვირვებელი გვყავდა ამ საარჩევნო უბნებზე. გვაქვს მონაცემები ცალკეული დარღვევების შესახებ, იყო უთანასწორობა არჩევნების წინ, თუმცა, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არჩევნები ტოტალურად არ გაყალბებულა. ამაზე არც საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუმახვილებიათ ყურადღება. იგივე ორგანიზაციები ტოტალურ გაყალბებაზე საუბრობდნენ საკაშვილის დროს, მაგალითად, 2008 წლის არჩევნებზე.

– თქვენს დამკვირვებლებზეც ითქვა, რომ უბნებზე ზეწოლას ახდენდნენ.

– ესაა დიდი სისულელე. სუს-ი გვემორჩილება თუ პოლიცია, რომ ამომრჩეველზე ზეწოლა მოვახდინოთ? ჩვენი დამკვირვებლები ამომრჩეველთა რაოდენობას ინიშნავდნენ. მათი მიზანი იყო, არ დაეშვათ კარუსელი და სხვა სახის გაყალბება. ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია. მათ, ვინც მემარცხენე ალიანსში გავერთიანდით, სუფთა წარსული გვაქვს და ვერაფერს მოგვედავებიან. რუსთავი 2-მა კომპრომატი ვერ გვიპოვა და ამომრჩეველზე ზეწოლა დაგვაბრალა.

წინასაარჩევნო კამპანია დიდი უთანასწორობის პირობებში წარიმართა. „ქართული ოცნების“ გამარჯვებაც, მისი რეიტინგის დაცემის მიუხედავად, გასაკვირი არაა. ჩვენ რომ კლასიკური დემოკრატიის სახელმწიფო ვიყოთ, საკრებულოებში და მერებად ოპოზიცია მოვიდოდა. ამ ქვეყნებში, თუ ერთი პარტია პარლამენტში იმარჯვებს, ადგილობრივ თვითმმართველობაში სხვას ირჩევენ. იქ ერთპარტიული მმართველობა გამორიცხულია. საუბედუროდ, არჩევნები დარღვევების გარეშე არ ტარდება დემოკრატიის ისეთ ციტადელშიც კი, როგორც აშშ-შია. რუსეთის დაზვერვა ჩაერია ამ ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში.

– აღნიშნეთ, რომ „ქართული ოცნება“ კმაყოფილია თავისი ოპოზიციითაც.

– „ქართული ოცნება“ კარგად გრძნობს თავს პარლამენტშიც და ადგილობრივ თვითმმართველობებშიც. მთავარ ოპოზიციად მას ისევ სანატრელი ხალხი ჰყავს. საკმარისია, ნაციონალების სხვადასხვა დაჯგუფებისაგან კრიტიკა გაისმას, რომ მაშინვე ხდება გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის მკვლელობების წამოძახება, წაებული ომის, ომიდან გაქცეული უმაღლესი მთავარსარდლის, სასტიკად დარბეული მიტინგების, ადამიანების წამების გახსენება. ეს დაუსრულებლად გრძელდება.

– ნაცმოძრაობის მეორე ადგილი საკრებულოებში სიახლე არ არის. თქვენ ევროპული საქართველო და გიორგი ვაშაძეც ახსენეთ.

– ევროპული საქართველოს მესამე ადგილი ნიშანდობლივია, თუ ამ პარტიის მიერ დახარჯულ ასტრონომიულ თანხას გავითვალისწინებთ. ამაზე ნაციონალების ერთ-ერთმა ლიდერმა, ნიკა მელიამ არჩევნების წინ ისაუბრა. მისი ინფორმაციით, ევროპული საქართველო კეზერაშვილმა დააფინანსა. მანვე აღნიშნა, რომ ევროპული საქართველო გარიგებულია ხელისუფლებასთან. ბოკერიასგან გასაკვირი არაა, რომ ის ხელისუფლებასთანაც იყოს გარიგებული, კეზერაშვილთანაც, ასევე რუსეთისა და აშშ-ის დაზვერვასთან. ევროპულ საქართველოს ცრუ ლოზუნგები, ყალბი ეროვნული და სოციალური დაპირებები ჰქონდა. იქნება ეს საფოთიაქო მონოპოლიების დანგრევა თუ ადგილებზე პენსიების მატება.

ამ პარტიამ უზარმაზარი ფულის გამოყენებით შეძლო თავისი გზავნილების ხალხამდე მიტანა. მანვე მოხერხებულად გადამალა ბოკერია და წინ წამოსწია ახალი სახე – ელენე ხოშტარია, ასევე, არაოდიოზური ბაქრაძე.

ფინანსები არ აკლდა ასევე გიორგი ვაშაძეს, რომელიც ხალხის ჯიბეების დამცარიელებლის, ყაჩაღი ვანო ჩხარტიშვილის სიძეა. იმ პარტიებს კი, რომლებსაც რეალური პროგრამები გვქონდა, უსახსრობის გამო გვიჭირდა ჩვენი გზავნილების საზოგადოებამდე მიტანა. არადა, ვისაც ვხვდებოდით, მათგან კეთილგანწყობა იყო. ამ სიტუაციაში უზნეოდ მეჩვენება ზოგიერთი ექსპერტის შეგონება.

– იმ ექსპერტებს გულისხმობთ, რომლებიც ამ არჩევნებში წარუმატებელ პარტიებს პოლიტიკიდან წასვლისკენ მოუწოდებენ?

– სწორედ მათ ვგულისხმობ. ჯერ ერთი, ვინ უწოდა მათ ექსპერტები და ანალიტიკოსები? შემიძლია დოკუმენტურად დავამტკიცო, რომ მათი პროგნოზების უმრავლესობა არ მართლდება. კეთილი ინებონ და თვითონ დაანებონ თავი პოლიტიკურ შეფასებებს და პოლიტიკურ პარტიებს! მათი რეკომენდაციები პარტიებს არ გვჭირდება. წავა თუ არა პოლიტიკიდან რომელიმე პარტია, ამ ე.წ. ექსპერტების გადასაწყვეტი არ არის.

ვახტანგ ხმალაძე: „კონსტიტუციაში ახალი ცვლილებები ის არის, რასაც ოპოზიცია ითხოვდა“

ნათია ხურცილავა

„შენების მოძრაობის“ წევრი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ დააანონსა.

– ბატონო ვახტანგ, კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებიდან ორი კვირის თავზე, საპარლამენტო უმრავლესობას კონსტიტუციაში ცვლილებები შეაქვს. თქვენ რას უკავშირებთ ამ ცვლილებას?

– ცვლილებების პროექტი ჯერ გამოქვეყნებული არ არის და არ ვიცი, რა იქნება ჩაწერილი, შესაბამისად, პროექტის შეფასებას ვერ გავაკეთებ.

ოთხივე საკითხი დისკუსიის თემა იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში. თუმცა, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ის, რაც მიიღო. ეს საკითხები კომისიაში დასმული იყო. ამ საკითხების გამო ვენეციის კომისიას მკვეთრი ტონით ჰქონდა შენიშვნები გამოთქმული. ამ საკითხებიდან ერთ საკითხზე, რომელიც პარლამენტის არჩევნების სისტემას ეხება, მძაფრი რეაქცია იყო როგორც პოლიტიკურ ოპოზიციაში, ისე არასამთავრობო სექტორის მხრიდან. შესაძლებელი იყო, რომ ეს საკითხები სექტემბერშივე გადაწყვეტილიყო, თუ კანონპროექტი მეორე მოსმენის რეჟიმში დაბრუნდებოდა პარლამენტში, შევიდოდა ცვლილებები და შემდეგ უკვე მიღებული იქნებოდა შესწორებული რედაქცია.

– ასე რატომ არ განვითარდა მოვლენები?

– „ქართულმა ოცნებამ“ ამაზე უარი თქვა. მაშინვე ითქვა, მივიღებთ იმას, რაც პირველი მოსმენით მივიღეთ და მერე ამაში შევიტანთ ცვლილებებსო. თქვენ მეკითხებით, რა შეიძლება ამ გადაწყვეტილების მიზეზი ყოფილიყო? როგორ გითხრათ, შესაძლებელია, სიჯიუტე იყოს ერთ-ერთი მიზეზი. რაც მივიღე, იმას მივიღებ და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. ასევე შესაძლებელია, ეს იყო პრაგმატიზმი იმ თვალსაზრისით, მაშინვე რომ შესულიყო ეს ცვლილებები, ანუ მეორე მოსმენის რეჟიმში რომ დაბრუნებულიყო კანონპროექტი, შესაძლოა, ჩავარდნილიყო, საკმარისი ხმები ვერ დაეგროვებინა საპარლამენტო უმრავლესობას.

– იქიდან გამომდინარე თუ რა პროცესები უძღოდა კონკრეტულად საარჩევნო სისტემის ცვლილების საკითხს თავად გუნდში?

– დიახ, მაშინ საფრთხე იყო, რომ მთლიანად ჩავარდნილიყო კონსტიტუციის ახალი რედაქცია. თუ ახლა ჩავარდება ეს ცვლილებები, მაშინ ის მაინც დარჩება, რაც არის მიღებული. ეს საფრთხე, რომ ეს ცვლილებები არ იყოს გაზიარებული, დღესაც არსებობს. თუმცა, ეს საფრთხე შემცირდება, პრაქტიკულად გაქრება, თუკი საპარლამენტო ოპოზიცია გადაწყვეტს, რომ მხარი დაუჭიროს ახალ ცვლილებებს. ეს ახალი ცვლილებები ის არის, რასაც ოპოზიცია ითხოვდა. თუ ოპოზიცია ამ საკითხს რაციონალურად მიუდგება, ამ ცვლილებებს მხარი უნდა დაუჭიროს, ვინაიდან საუბარია საარჩევნო სისტემაზე, საარჩევნო სარჩელების გასაჩივრებაზე საკონსტიტუციო სასამართლოში, რელიგიის თავისუფლებაზე, რომელიც უფრო უკეთესად იქნება მოწესრიგებული და საარჩევნო ბლოკებზე, რომელთაც სწორედ ოპოზიცია ითხოვდა.

– პარლამენტში წარმოდგენილმა ოპოზიციამ ერთმანეთის მიყოლებით განაცხადა, რომ ამ პროცესში მონაწილეობას არ მიიღებს.

– მათ უარი თქვეს საყოველთაო-სახალხო განხილვებში მონაწილეობაზე. პარლამენტში წარმოდგენილ ოპოზიციას ჯერ არ განუცხადებია, ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს კენჭისყრის დროს დაუჭერენ თუ არა მხარს. რა გითხრათ, მთლად უსაფუძვლო არ არის ეს განცხადება, ვინაიდან ყველამ ნათლად დავინახეთ, რომ მიუხედავად იმისა, რა ითქვა ამ განხილვებზე, „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა ის, რაც მას გადაწყვეტილი ჰქონდა. მმართველ პარტიას თუ უნდა ამ ცვლილებების მიღება, მიიღებს მიუხედავად იმისა, მხარს დაუჭერს თუ არა ოპოზიცია. ამიტომ, ამ განხილვებში დიდ აზრს ვერც მე ვხედავ.

– ამ ოთხი ცვლილების შეტანით, უკეთესი კონსტიტუცია იქნება მიღებული?

– უკეთესი იქნება მიღებული, მაგრამ ეს უკეთესობა დადგება შვიდი წლის შემდეგ.

– ბატონო ვახტანგ, რამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ის არის, რასაც ოპოზიცია ითხოვდა?

– საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, ეს ის არის, რასაც ოპოზიცია ითხოვდა. ოღონდ იმ დათქმით, რომ ოპოზიცია ამის გაკეთებას 2020 წლის არჩევნებისთვის ითხოვდა და არა – 2024 წლის არჩევნებისთვის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გულიკო ბალაძე

„უსუფაშვილის პარტია ბარიერს ვერასოდეს გადალახავს“

პეტრე მამრაძე: „კანონიერი ქურდების ჩამოყვანა ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, ივანიშვილის რიდი რომ არ ჰქონდეთ“

ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ ნევრ პეტრე მამრაძესთან

– ბატონო პეტრე, საქართველოს პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე რა კონფიგურაცია მივიღეთ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ადგილობრივმა არჩევნებმა რაიმე შეცვალა?

– ადგილობრივმა არჩევნებმა არაფერი შეცვალა. ერთადერთი, კიდევ ერთხელ მკაფიოდ გვაჩვენა, თუ როგორი შიდა პოლიტიკური ვითარებაა საქართველოში.

– როგორი შიდა პოლიტიკური ვითარებაა?

– მმართველი დაჯგუფება მთლიანად აკონტროლებს ადმინისტრაციულ და ფინანსურ რესურსს. „ოცნებამ“ ათჯერ მეტი კანონისმიერი დაფინანსება მიიღო, ვიდრე სხვა დანარჩენმა პარტიამ ერთად აღებულმა.

– დაფინანსება და ადმინისტრაციული რესურსია პრობლემა თუ, ვთქვათ, პრობლემაა ამომრჩევლის 55%-ის პასიურობა, არსებული პოლიტიკური სუბიექტების არაკომპეტენტური საარჩევნო კამპანია, ზოგადად სუსტი ოპოზიციური სპექტრი.

– მოსახლეობის დიდი ნაწილი მმართველი დაჯგუფების მოქმედებით გაწბილებულია, მმართველ დაჯგუფებას აღარ ენდობა ისე, როგორც ენდობოდა 2012 წელს. ხომ გახსოვთ, ადამიანებს ბანკ „ქართუში“ რომ შეჰქონდათ ფული თავისი ნებით და ზოგმა 10-20 ლარი შეიტანა, ბანკი რომ გადაერჩინათ. ჩვენი ოჯახის ახლობელმა, ერთორ დღეს რაღაცას შევჭამთ ხელფასამდეო და 20 ლარი შეიტანა. ახლა შედარებით ეს ყველაფერი დაკარგულია. შარშან გამოჩნდა, რომ ნაღდი ხმებით „ოცნებამ“ ნაცებთანაც კი წააგო. გაიმარჯვა მხოლოდ ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსის გამოყენებით. ახლაც იგივე მოხდა.

– არჩევნებზე ამომრჩეველთა 55% არ მივიდა. ამიტომ ხომ არ გაიზარდა ნაცების პროცენტი?

– დიახ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მმართველი დაჯგუფების მიმართ ენთუზიაზმი აღარ არის. თუმცა, იმაზეც მეტყველებს, რომ ჯერ გაღიზიანების გრადუსი ისეთი მაღალი არ არის, რომ ხალხი მასობრივად ქუჩაში გამოვიდეს, როგორც ეს იყო 2012 წელს ციხის კადრების შემდეგ, როგორც ეს იყო 2003 წელს ვარდების რევოლუციის დროს. შემდეგ ეს მასა რომ მოძრაობს და შესაბამისი განწყობით საარჩევნო ყუთებთან მიდის, ასეთ დროს ხელისუფლებას აღარ შველის არც ადმინისტრაციული რესურსი, არც ფინანსები და არც ტელევიზიების გაკონტროლება. ასე იყო 2003 წელს და 2012 წელს. ეს არის ქართული პოლიტიკური ციკლები, რომლებიც იწყება ეიფორიით. შემდეგი ფაზაა ხელისუფლების კონსოლიდაცია და ისევ ხელისუფლების კოლაფსი და ეიფორია ახალი პატრონის მიმართ.

– თვითონ მოსახლეობა ხომ არ ვარდება ეიფორიაში, ახალი ძალისაგან უფრო ბევრს მოელის. ის ახალი ძალა კი არსებულ ვითარებაში, დანგრეულ ქვეყანაში ბევრს ვერაფერს აკეთებს და ხალხი ამიტომ ხომ არ რჩება გაწბილებული?

– რა თქმა უნდა. ჩვენთან ყოველთვის დიდი მოლოდინია. როცა მოქმედი ხელისუფლების კოლაფსის რეჟიმია, მოსახლეობის ნაწილის პროტესტი იწყება, რადგან დიდია მოქმედი ხელისუფლების მიმართ გაღიზიანება, ამ დროს ადამიანები მზად არიან, მხარი დაუჭირონ დემაგოგებს, პოპულისტებს და ენდონ მათ.

– სახელისუფლებო პარტიის გარდა, ძალიან ბევრი პარტია იყო. მოსახლეობას არჩევანი ხომ ჰქონდა? არჩევნებში ბევრი პარტია მონაწილეობდა. თუმცა, ვფიქრობ, ოპოზიციურმა სპექტრმა საარჩევნო კამპანია სწორად ვერ წარმართა.

– ძალიან დიდი ხანია, ხალხი აღარ ენდობა ე.წ. პარტიებს. საქართველოში 260 პარტიაა რეგისტრირებული. ეს ე.წ. პარტიები ძირითადად ზრუნავენ თავის თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე. თან ყოველთვის პიროვნული ფაქტორია გადამწყვეტი. მაგალითად, 2012 წელს 6 პარტიისაგან შემდგარ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ხალხმა ხმა მისცა ერთი ადამიანის, ივანიშვილის ხათრით.

– ყველა არჩევნებში ასეა. იქნებ ჩვენ ვართ ისეთი ადამიანები, ვინც ჩვენს მომავალს პიროვნებებზე ვამყარებთ.

– დიახ, მაგრამ დასავლეთის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, პოლიტიკის პერსონალიზაცია წლიდან წლამდე იზრდება. საფრანგეთში, ტრადიციული დემოკრატიის ქვეყანაში, სადაც პარტიები რამდენი წელიწადია არსებობს, ერთმა ადამიანმა მაკრონმა, რომელიც არც ერთ პარტიას არ წარმოადგენდა, გაიმარჯვა, გახდა პრეზიდენტი. ბევრი დაიწერა საფრანგეთში პარტიული სისტემის საერთოდ ჩამოშლაზე. შემდეგ მაკრონმა იქვე შეაგროვა თავისი გუნდი სხვადასხვა პარტიებში და ისევ მისი ხათრით ფრანგმა ხალხმა პარლამენტში ისევ ისინი აირჩია, ვინც მაკრონმა შეარჩია.

ეს პროცესი ძალიან ძლიერია შეერთებულ შტატებში, სადაც არც ერთ რესპუბლიკელს არ უნდოდა პრეზიდენტი ტრამპი ყოფილიყო, მაგრამ მან გაიმარჯვა.

სხვაგანაც შეიმჩნევა პიროვნული ფაქტორის ზრდა. ნდობა დიდი არ არის, მაგრამ რადგან კოლაფსის ფაზა ჯერ არ არის დამდგარი, მაშინ პიროვნებაც კი არ ჩანს, რომ ხალხმა მხარი დაუჭიროს. პიროვნება ჩნდება მაშინ, როდესაც დღეღილი დაწყებულია და ხალხის ნაწილიც ქუჩაშია გამოსული. ასე იყო 2003 წელს. სააკაშვილი, რომელიც მანამდე მთელს საქართველოში კლოუნად იყო აღქმული, პატრიოტული ლოზუნგებით ჩაუდგა მოძრაობას სათავეში.

– საპარლამენტო არჩევნებმა ბევრი 1-2-3%-იანი პარტია გამოაჩინა. იგივე ვითარებაა ახლაც. ამ კუთხით არაფერი შეცვლილა. 1-2-3%-იანი მხარდაჭერის მქონე პარტიამ როგორ შეიძლება მოიპოვოს დიდი მხარდაჭერა?

– შეუძლებელია, მათ დიდი მხარდაჭერა მოიპოვონ, მაგრამ ისინი სხვა რამისთვის იბრძვიან. შარშან პარლამენტში თითქოსდა სამი სუბიექტი შევიდა, „ქართული ოცნება“, ნაციონალები (მაშინ გაყოფილი არ იყვნენ) და პატრიოტთა ალიანსი. ამავდროულად კვალიფიციური პარტიების რაოდენობა გაიზარდა 9-10 პარტიით. მათი დაფინანსებაც გაიზარდა ათეული მილიონი ლარით.

– რა შედეგი მოგვცა ამან?

– პატარ-პატარა დაჯგუფებების ლიდერებმა იციან, როგორ იმოქმედონ, რომ იმდენი ფული იშოვონ, რომელიც საკმარისია შავი ჯიპების საყიდლად, ბინებისა თუ სახლების ასაშენებლად და საქართველოში კარგი ცხოვრების მოსაწყობად.

– ანუ მათი მიზანი არც არის ძალაუფლების ხელში აღება. იციან, რომ ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, რადგან ამის რესურსი და ბაზა არ აქვთ.

– ბაზა არ აქვთ, მაგრამ თუ გამოჩნდება სიტუაცია და ლიდერი, როგორიც ივანიშვილი იყო, მაშინვე, როგორც ქორები, მიფრინავენ ხელისუფლებაში მოსახვედრად. ისევე, როგორც „ოცნებაში“ აღმოჩნდა 6 პარტია, რომელიც ცალკე ბარიერსაც ვერ გადალახავდა – ვერც ალასანია, ვერც რესპუბლიკელები, ვერც შარტავას პარტია და სხვები, მაგრამ როცა სიტუაცია გამოჩნდა, თითქოს ერთმანეთშიც არ იყვნენ კარგად, მაგრამ ამაზე თვალი დახუჭეს, რადგან დაინახეს, რომ ამ გზით პარლამენტში შევიდოდნენ და შეძლებდნენ პირადი კეთილდღეობის მოწყობას.

– პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, რომელმაც „შენების“ პარტია შექმნა, განაცხადა, რომ არ მოელოდა დიდ მხარდაჭერას, რადგან ის მომავლისთვის ემზადება. ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ უსუფაშვილი ემზადება ახალი სიტუაციისთვის. როცა ახალი ლიდერი გამოჩნდება, მას მოელაპარაკოს და ისევ პარლამენტში აღმოჩნდეს, როგორც რესპუბლიკელებს არაერთხელ გაუკეთებიათ. ხომ გახსოვთ, როგორ აღმოჩნდნენ პარლამენტში სააკაშვილის დროს და 2012 წელს, როცა უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე გახდა, ხიდაშელი თავდაცვის მინისტრი, მინისტრები და კომიტეტის თავმჯდომარეები ჰყავდათ. ე.ი. პარტია, რომელიც თავისი ძალებით ბარიერს ვერ გადალახავდა, უცებ გავლენიანი პოლიტიკური ჯგუფი აღმოჩნდა ერთი ადამიანის ხათრით.

ამდენად, უსუფაშვილი ემზადება ახალი ლიდერის გამოჩენისთვის, ან თუ ივანიშვილი განაწყენდება ახლანდელი ვითარებით და იფიქრებს, რომ ისევ ჩაერიოს პოლიტიკაში და ვიღაცას მოუხმოს. უსუფაშვილს არ დაუმალავს, რომ ივანიშვილს მის მიმართ სიმპათიები ჰქონდა და აქვს.

– თუმცა, უსუფაშვილი გარკვეულ პერიოდში ივანიშვილს დაუპირისპირდა.

– კი. უსუფაშვილი ამბობდა, რომ ივანიშვილი ეუბნებოდა, რესპუბლიკური პარტიიდან გამოდიო. თანამდებობასაც კი სთავაზობდა. უსუფაშვილი რესპუბლიკური პარტიიდან გამოვიდა კიდევაც. სრულიად არაადეკვატური უნდა იყოს უსუფაშვილი, არ ესმოდეს, რომ მისი პარტია ბარიერსაც ვერ გადალახავს.

– ვერასოდეს?

– ვერასოდეს, თუ არ გამოჩნდება ძალა, რომელიც გადაალახვინებს ბარიერს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც დაფინანსება ყოველთვის მმართველი დაჯგუფების ხელშია.

– არსებული პოლიტიკური სპექტრით რას შეიძლება მივაღწიოთ?

– არც არაფერს, ეს არ არის პოლიტიკური სპექტრი. პოლიტიკური სპექტრი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. პარტიული მშენებლობა საქართველოში არც კი დაწყებულა.

– მომავალში პოლიტიკური კოლაფსის ფაზას ელოდებით?

– ივანიშვილი რჩება ერთგვარ დამოკლეს მახვილად „ოცნების“ მმართველი დაჯგუფებისათვის და ბევრ რამეს ვერ ბედავენ, რადგან იციან, შეიძლება ივანიშვილი ჩაერთოს და დაფერთხოს, როგორც ეს გააკეთა ორი წლის წინ, როდესაც ერთბაშად თამაზაშვილების, ჯანყარაშვილებისა და ღარიბაშვილების დაჯგუფება ხელისუფლებას მოაშორა. ივანიშვილი აკავებს, თორემ კანონიერი ქურდების ჩამოყვანა და აეროპორტიდან მათი გაპარება და ბევრი სხვა რამ, ჩვეულებრივი პრაქტიკა გახდებოდა.

ივანიშვილის რიდი აქვთ. თუმცა, ძალიან ბევრი რამ, რაც გასაკეთებელია, არ აკეთებენ, პასიურები არიან.

ერთი მხრივ, ის შედეგი არ არის, ივანიშვილი რომ პირდებოდა, პირველი წელი, მეორე წელი, მესამე წელი უკეთესი იქნებაო, მაგრამ მეორე მხრივ, როგორც ვიცი, უსაფუძვლო დაჭერები, წამება ციხეებში. ისინიც კი, ვინც „ოცნების“ მიმართ ძალიან სკეპტიკურადაა განწყობილი, ვინც შედის ციხეებში და ადარებს იმას, რაც სააკაშვილის დროს იყო, შედარება არ არის. ქონების წართმევა და ნოტარიუსის საშუალებით გადაფორმება ბოლო დროს გაგიგიათ?

– არა, არ გამიგია.

– როცა ასეთი ვითარებაა, შეიძლება კოლაფსი ავიცილოთ.

გულიკო ბალაძე

მამუკა გვაძაბია: „წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა კავკასიაში მოთამაშე მხოლოდ რუსეთი იყო“

დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატიზმის მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი მოტივი ზოგადად კავკასიის გაკონტროლებაა.

– მოგეხსენებათ, რუსეთს ბაზები აქვს აფხაზეთში, ცხინვალში, გიუმრიში (სომხეთში), მაგრამ ეს სამკუთხედი შეკრული არ არის. ამ საკითხში მთავარი ხელისშემშლელი რუსეთისთვის საქართველოა. რუსეთი ყველანაირად შეეცდება, ეს სამკუთხედი შეკრას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა კავკასიაში ერთადერთი მოთამაშე იყო მხოლოდ რუსეთი. ახლა კავკასიისადმი სერიოზულ დაინტერესებას გამოხატავენ ამერიკა და ევროკავშირი, – აცხადებს მამუკა გვაძაბია.

– ბატონო მამუკა, ბოლო პერიოდში ევროპაში გააქტიურებული სეპარატისტული მოძრაობები ახალისებს ჩვენს ტერიტორიებზე არსებულ სეპარატისტულ ჯგუფებსაც. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს?

– რთული პროცესია. ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიოში იმატა სეპარატისტულმა მოძრაობებმა და ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, რომლებიც აღიარებული არიან საერთაშორისო სამართლის მიერ.

– მოგეხსენებათ, სეპარატისტები იშველიებენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

– ერების თვითგამორკვევა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. ამ პრინციპით სპეკულირებენ როგორც სეპარატისტული მოძრაობების წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები, ისე ტერიტორიული მთლიანობის მომხრეები. სინამდვილეში, საერთაშორისო სამართალი აღიარებს რა ერების თვითგამორკვევის უფლებას, მკაფიოდ განასხვავებს იმ ერების თვითგამორკვევას, რომელთაც არავითარი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნიათ, თვითგამორკვევისაგან, რომლებმაც მიაღწიეს სახელმწიფოებრიობას.

თუ პირველ შემთხვევაში ნაციონალურ სუვერენიტეტს არ იცავს სახელმწიფო სუვერენიტეტი, მეორე შემთხვევაში ერებმა უკვე გამოიყენეს საერთაშორისო სამართლით მინიჭებული თვითგამორკვევის უფლება და მათ ნაციონალურ სუვერენიტეტს იცავს საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი სახელმწიფო.

აქედან გამომდინარე, ერების თვითგამორკვევა სახელმწიფოს შიგნით აუცილებლად არ გულისხმობს მისგან გამოყოფასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ასეთი თვითგამორკვევა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თვითგამორკვევის დონის ამაღლებასთან, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას.

– ამ პრინციპით აფხაზებიც თვითგამორკვეული იყვნენ და ესპანეთში კატალონიელებიც, რომლებმაც ახლახან დამოუკიდებლობის მოთხოვნით რეფერენდუმი ჩაატარეს.

– დიახ, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიაზე ტარდება რეფერენდუმები, რომლის შედეგებს აბსოლუტურად უმართებულოდ ადარებენ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში ჩატარებულ ე.წ. რეფერენდუმებს. ძალიან მკაფიო და სერიოზული განსხვავება ამ მოვლენებს შორის ისაა, რომ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში ე.წ. რეფე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

აგასი არაბიანმა ჯავახეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად მოიხსენია

რატომ დუმს საქართველოს ხელისუფლება

შორენა მარსაგიშვილი

ჯავახეთის თემა ბოლო დროს ისევ აქტიური ხდება. ჩუსეთში სომხური სათვისტომოს ხელმძღვანელმა, ჩვენთვის ჯერჯერობით ნაცნობმა პროვოკატორმა აგასი არაბიანმა, პროვოკაციული განცხადება გააკეთა. მან ჯავახეთი დამოუკიდებელ სუბიექტად მოიხსენია და საქართველოს მასთან, ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთთან, დიალოგი უჩრია.

აგასი არაბიანი წარმოშობით სამცხე-ჯავახეთიდან არის. ის წლების წინ სამუშაოს საძებნელად წავიდა რუსეთში. რამდენიმე წლის წინ მან რუსეთში სომეხთა სათვისტომო შექმნა. წესითა და რიგით, ის რუსეთში მცხოვრები სომხების ინტერესებს უნდა იცავდეს, არაბიანის ყურადღება კი რატომღაც საქართველოსკენ არის მოპყრობილი.

მისი მხრიდან არაერთი პროვოკაციული განცხადება გაკეთებულა, მაგრამ ოფიციალური თბილისი მას სერიოზულად არ აღიქვამდა. დღევანდელ ხელისუფლებას იმაზეც არა აქვს რეაქცია, რომ აფხაზები და ოსები ევროპის ქვეყნებში წარმომადგენლობებს ხსნიან. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, აგასი არაბიანის განცხადება რომ გაატარეს.

მორიგი პროვოკაციული განცხადება არაბიანმა მოსკოვში გამართული ღონისძიების შემდეგ გააკეთა. ეს ღონისძიება რუსეთში ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის საელჩოში გაიმართა.

საელჩომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების შეყვანის 25-ე წლისთავი აღნიშნა. ცხინვალის მთავრობის აზრით, ეს თარიღი სამხრეთ ოსეთის ისტორიის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

თავისი შთაბეჭდილებები არაბიანმა სომხურ გამოცემა არმუსეუმ.რუს გაუზიარა. როგორც გამოცემა წერს, რუსეთის სამხედრო ძალების ჩარევა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქართველთა მხრიდან წარმოებული სისხლისღვრის შესაჩერებლად, რომელიც მიმართული იყო ოსი ხალხისა და მათი უფლებების წინააღმდეგ.

აგასი არაბიანის აზრით კი ოს ხალხს სრული უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს საკუთარი ისტორიული ბედი.

გამოცემის ინფორმაციით, საზეიმო ღონისძიებაზე აგასი არაბიანი რუსეთში სამხრეთ ოსეთის ელჩს შეხვდა.

– მიმდინარე პროცესების ფონზე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო აგასი არაბიანისა და სამხრეთ ოსეთის ელჩ ზნაურ გასიევის შეხვედრა. საუბარი შეეხო კულტურულ, ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ საკითხებს. სომხები დაინტერესებულნი არიან, რომ კავკასიაში განვითარდეს სატრანსპორტო დერეფნები, რომლებიც აფხაზეთსა და ოსეთზეც გაივლის. თუმცა ამ მცდელობას საქართველო აქტიურად ეწინააღმდეგება, რაც 1991-1993 წლის მოვლენების გამოძახილია, როდესაც ნაციონალისტურად განწყობილი ზვიად გამსახურდიას მომხრეები ოსებს დაესხნენ თავს, – წერს გამოცემა.

შეხვედრაზე არაბიანს განუცხადებია, რომ ქართველების მიერ აწიოკებული თრიალეთის ფერდობზე მცხოვრები ოსები სომხური რეგიონისკენ – ჯავახეთისკენ გაიქცნენ.

– ჯავახელი სომხები მოძმეებს უსასყიდლოდ დაეხმარნენ და უზრუნველყვეს მათი ევაკუაცია გიუმრისკენ, საიდანაც ისინი ბესლანში გადავიდნენ, – ამბობს არაბიანი.

შეხვედრაზე სომხური სათვისტომოს დამფუძნებელმა ყარაბაღის კონფლიქტი და იქ ოსების მონაწილეობა გაიხსენა:

– ოსები ყარაბაღში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში სომხების მხარესაც იბრძოდნენ. ექვსი მათგანი დაჯილდოებულია „არწახის გმირის“ წოდებით.

აგასი არაბიანი მიიჩნევს, რომ ოსები და სომხები უნდა გაერთიანდნენ, რათა საკუთარი ისტორიული სიმართლე დაამტკიცონ.

როგორც აგასი არაბიანი ამტკიცებს, ცხინვალი დაინტერესებულია მეზობლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებით.

– სომხებმა მხარი უნდა დაუჭირონ რეგიონში მშვიდობას, – ამბობს სომხური დიასპორის ხელმძღვანელი.

რუსეთში ცხინვალის ელჩთან შეხვედრისას ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებაზეც ყოფილა საუბარი.

ეს საკითხი ცხინვალში აქტუალური 2015 წლის მიწურულს გახდა. იმ პერიოდში თურქებმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რასაც ანკარასა და მოსკოვს შორის სიტუაციის უკიდურესი დაძაბვა მოჰყვა.

ცხინვალმა ამ დაპირისპირებაში, ბუნებრივია, კრემლის მხარე დაიკავა და საკუთარი ძალებით გადაწყვიტა ანკარის გამწარება. თურქები სომხების გენოციდის აღიარებაზე ძალიან მწვავედ რეაგირებენ. ცხინვალმაც მოინდომა გენოციდის აღიარება. მათმა პარლამენტმა საბუთების შეგროვებაც დაიწყო, აღიარების პროცედურის დაწყება კი აღარ დასცალდათ – პუტინი და ერდოღანი ერთმანეთს ჩაეხუტნენ.

სომხებს იმედი აქვთ, რომ არაღიარებული სამხრეთ ოსეთი მათ გენოციდს აღიარებს. რუსეთი ამის ნებას არ იძლევა. რუსეთის ნებართვის გარეშე კი ცხინვალი ნაბიჯსაც არ გადადგამს.

აგასი არაბიანის აზრით, დროა, დიდი გაერთიანება მოხდეს.

– რუსეთი, საქართველო, ჯავახეთი და სომხეთი უნდა გაერთიანდნენ და ერთად განახორციელონ ჰუმანიტარული და ეკონომიკური პროექტები, რაც რეგიონში უამრავ სამუშაო ადგილს შექმნის და ასევე მოძმე ერებს დააახლოებს, – ამბობს არაბიანი.

სომხურ გამოცემასთან საუბარში ის აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზეც საუბრობს. ერევანი საქართველოს ამაზე კარგა ხანია, რაც უჩიჩხინებს. არაბიანი როკის გვირაბის გავლით ტვირთების გადაზიდვის საკითხსაც ეხება.

– საქართველოს წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს მარშრუტები მაინც ამოქმედდება, – ამბობს არაბიანი.

დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვა 40 წლამდე დასაქმებულთათვის სავალდებულო იქნება

– დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედება და კონტრიბუციების მიღება 2018 წლის მესამე კვარტლიდან არის დაგეგმილი.

ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძემ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პრეზენტაციისას განაცხადა.

როგორც პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, დაგროვებით საპენსიო

სქემაში ჩართვა სავალდებულო იქნება 40 წლამდე დასაქმებული ადამიანებისთვის, ხოლო ნებაყოფლობითი იქნება მათთვის, ვისაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 40 წელი. რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, ისინი ნებაყოფლობით გაწევრიანდებიან სისტემაში, მათი ასაკის მიუხედავად.

– თითოეული დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო კანონით სქემის მონაწილე ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განახორციელებს შენატანს თითოეული დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2%-ის ოდენობით. რაც შეეხება თვითდასაქმებულ პირებს, ისინი განახორციელებენ შენატანს თავიანთი შემოსავლის 4%-ის ოდენობით, სახელმწიფო კი როგორც დასაქმებულების, ასევე თვითდასაქმებულების სასარგებლოდ მათ დამატებით გადაურიცხავს დასაბეგრი შემოსავლის 2%-ს, – განაცხადა ნინო ჯავახაძემ.

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი პარლამენტს წლის ბოლომდე წარედგინება.

შს მინისტრი პარლამენტში მივა

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ფორმატში შს მინისტრის მოსმენა იგეგმება. ეკა ბესელიას ინფორმაციით, მოსმენა, სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს გაიმართება.

– ეს არის პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის ნაწილი. ჩვენ ახლა ვათანხმებთ დროს და თარიღს, ასევე საკითხთა ნუსხას მოსმენის დღის წესრიგთან დაკავშირებით. მინისტრის მხრიდან ველოდებით ანგარიშს, ამავე დროს ახალ კონცეფციას და მოსმენას რეფორმაზე, რომელზეც სამინისტრომ იმუშავა. ჩვენ გვაქვს ჩვენი პოზიციები. მინისტრის მოსმენა კომიტეტში შედგება. დასტური გვაქვს. ახლა ვათანხმებთ თარიღს, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკა ბესელიამ.

„ხელისუფლებასთან ჯოხის გარეშე საუბარს აზრი არ აქვს“

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავას განცხადებით, ის არ მიიღებს მონაწილეობას იმ კომისიაში, რომლის ფარგლებშიც ახალ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა უნდა განხორციელდეს.

კუკავასთქმით, მისი პირადი აზრია, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ „ყაჩაღურად მოიპარა ხმები“ არჩევნებზე, მათთან დიალოგსა და კომპრომისს აზრი არ აქვს. კუკავა „პირველ რადიოსთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამავე აზრზე იქნება ლიდერთა საბჭოც.

– კარგად დაახვიონ ეგ კომისია და შეინახონ. ჩვენი ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ყველა ხიდი არის დამწვარი მას შემდეგ, რაც იკადრეს არჩევნებზე. ჩვენ ამ ხელისუფლებასთან ურთიერთობა გვექნება სხვა ენაზე. კომისია, კომპრომისი, შეთანხმება – ამ ყველაფერს აზრი არ აქვს. ამ ხელისუფლებასთან ჯოხის გარეშე საუბარს აზრი არ აქვს. კარგად დავგეგმავთ ოპერაციას, რას ვიზამთ, რომ იქ მოხვდეს, სადაც მოსახვედრია. ეს არის ყაჩაღებისა და ქურდების ბანდა და, როგორც ბანდასთან, ისე უნდა ვიმოქმედოთ, – განაცხადა კუკავამ „პირველ რადიოსთან“ საუბრისას.

მამუკა გვაძაბია: „წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა კავკასიაში მოთამაშე მხოლოდ რუსეთი იყო“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

რენდუმები ჩატარდა ეთნიკური წმენდის შემდეგ. ამავე დროს, ეს რეგიონები თვითგამორკვეული იყვნენ, ვინაიდან მათ გააჩნდათ ავტონომია (საუბარია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე) საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოს შიგნით და მათ უფლებებს იცავდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფო (საქართველო).

– ცხადია, ვთქვათ, კატალონიასა და აფხაზეთში ან ცხინვალის რეგიონში ჩატარებული ე.წ. რეფერენდუმები ერთი არ არის.

– აბსოლუტური უმეცრებაა ამ რეფერენდუმების შედარება სამართლებრივი თვალსაზრისით. საერთაშორისო თვალსაზრისით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ არცერთ, მათ შორის, სამართლებრივ ქმედებას არ ექნება ლეგიტიმური საფუძველი, სანამ ოკუპირებულ რეგიონებში დემოგრაფიული სიტუაცია არ აღდგება და ავტონომიების აბორიგენ მოსახლეობას არ მიეცემა ამ პროცესებში მონაწილეობის სრული და უპირობო უფლება. ეს თანაბრად ეხება ამ რეგიონების ლეგიტიმურ ხელისუფლებებსაც.

სანამ არ დაბრუნდებიან დევნილები თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში და საერთაშორისო დამკვირვებლების მეთვალყურეობით არ ჩატარდება დემოკრატიის სტანდარტების შესაბამისი არჩევნები, არც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და არ სხვა რეგიონს (სადაც ჩატარდა მოსახლეობის ეთნიკური წმენდა) სრულფასოვანი ლეგიტიმური ხელისუფლება არ ეყოლება. ნებისმიერი სამართლებრივი სპეკულირება ამ თემაზე არარელევანტური და კონტრპროდუქტიულია საქართველოს ტერიტორიაზე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით.

– აფხაზეთში რეფერენდუმი დემოგრაფიული ვითარების შეცვლის შემდეგ ჩატარდა, მაგრამ ეს მათთვის სიტუაციას ცვლის?

– მათთვის, ანუ ოკუპანტებისა და ნაციონალ-სეპარატისტებისთვის სიტუაცია არ იცვლება. ჩატარდა ეთნიკური წმენდა, ოკუპირებულია ტერიტორიები, ოკუპანტი თვითნებობს. ეს ნათელია, მაგრამ საერთაშორისო სამართალი და დემოკრატიული მსოფლიო ამ მოცემულობას არ აღიარებს. შესაბამისად, ის, რაც ხდება აღნიშნულ ტერიტორიებზე, აბსოლუტურად არალეგიტიმურია. ვითარება არა პირდაპირ, მაგრამ წააგავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ვითარებას ევროპაში. მხედველობაში მაქვს გერმანია.

– სეპარატიზმის ერთ-ერთი მხარდამჭერი, რუსეთი, ბოლო წლებში ერთ-ერთი პოლუსის სათავეშია მოექცა. ანალიტიკოსები კი ამბობდნენ, რომ რუსეთი დასუსტდებოდა და განიდევნებოდა კავკასიიდან, შავი ზღვის აკვატორიიდან. რას უნდა ველოდოთ?

– მე არ ვიტყოდი, რომ ის ერთ-ერთ პოლუსის სათავეში უკვე მოექცა. ის ამას ცდილობს მეტ-ნაკლები წარმატებით. დღეს უფრო პრაგმატული მიდგომა იქნებოდა მისი ძალების დაბალანსება შავი ზღვის აუზში, რაც ხდება კიდეც. გახსოვთ ნატოს მაღალჩინოსნების არაერთი განცხადება, შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების დაცვის პროცესის წარმატებით განხორციელებაში წვლილი საქართველომაც უნდა შეიტანოს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ნატოში ინტეგრირების საკითხში როგორც ზოგადად პროცესის წარმატების, ისე საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის. აქაც ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლების არაორაზროვანი პოლიტიკა.

– რუსეთი სწორედ შავი ზღვის კონტროლისთვის უჭერს მხარს აფხაზ სეპარატისტებს. საკითხავია, რამდენად შეძლებენ მსოფლიოს დიდი მოთამაშეები რუსეთის შესუსტებას, რომ სეპარატიზმის მხარდაჭერა შეწყვიტოს?

– ეს ერთ-ერთი მთავარი მოტივია ზოგადად კავკასიის გაკონტროლებისთვის. მოგეხსენებათ, რუსეთს ბაზები აქვს აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, გიუმრიში, სომხეთში, მაგრამ ეს სამკუთხედი შეკრული არ არის. ამის მთავარი ხელისშემშლელი რუსეთისთვის საქართველოა. ამიტომ რუსეთი ყველანაირად შეეცდება, ეს სამკუთხედი შეკრას. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა კავკასიაში მოთამაშე იყო მხოლოდ რუსეთი. კავკასიისადმი სერიოზულ დაინტერესებას გამოხატავენ ამერიკა და ევროკავშირი.

– ამერიკისა და ევროკავშირის ინტერესი იმდენად დიდია, რომ რუსეთს შეაკავებს?

– დარწმუნებული ვარ, ევროკავშირი და განსაკუთრებით კი აშშ შეძლებენ რუსეთის შეკავებას, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მშვიდობიანად, ზედმეტი ჭახაჭუხის გარეშე.

ზურაბ აბაშიძე: „დიპლომატიური ურთიერთობების არქონა სრულიად არ უშლის ხელს სავიზო რეჟიმის გაუქმებას“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადებაზე, რომ რუსეთმა მომავალში შესაძლოა საქართველოს სავიზო რეჟიმი გააუქმოს, რასაც ხელს ახლა დიპლომატიური ურთიერთობების არქონა უშლის, „პირველმა რადიომ“ კომენტარი საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვა, სადაც განგვიცხადეს, რომ ამ საკითხზე კომენტარს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან მოლაპარაკების საკითხებში ზურაბ აბაშიძე გააკეთებდა. აბაშიძის განცხადებით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არქონა სავიზო რეჟიმის გაუქმებას, თუ მას ეს სურს, ხელს არ უშლის.

– ჩვენ ნოემბრის შუა რიცხვებში გვექნება მორიგი შეხვედრა. თუ რუსეთის მხრიდან ვიზებთან დაკავშირებით არის სიახლე, ამას მოვისმენთ, რა თქმა უნდა. ჩვენი მხრიდან პედალირება, ზეგავლენის მოხდენა რუსეთის მხარეზე, რომ რამე სახის გადაწყვეტილება მიიღონ ან ვიზების გაუქმებაზე, ან სხვა რამეზე, ჩვენ არ გვაქვს. რისი გაკეთებაც შეგვეძლო, რაც ქვეყნის ინტერესებში იყო, მხედველობაში მაქვს რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაუქმება, ეს უკვე გაკეთდა და ეს 2011 წლიდან მოხდა. ამან ხელი შეუწყო ტურისტების რაოდენობის ზრდას. რუსეთმა 2016 წლიდან გარკვეულწილად შეამსუბუქა სავიზო რეჟიმი... თუ რუსეთის მხარეს ექნება სურვილი, ან გააუქმოს, ან გაამარტივოს, ეს მათი გადასაწყვეტია. რაც შეეხება დიპლომატიურ ურთიერთობას, ამას იმეორებენ ხოლმე, როცა სავიზო რეჟიმზე საუბრობენ, მაგრამ, როდესაც ჩვენ სავიზო რეჟიმი გავაუქმეთ, არც მაშინ იყო დიპლომატიური ურთიერთობა და არც ახლაა, რაც იმის არგუმენტია, რომ დიპლომატიური ურთიერთობების არქონა სრულიად არ უშლის ხელს სავიზო მოთხოვნების გაუქმებას, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ „პირველ რადიოსთან“ საუბარში.

ქართულმა მარშმა ფეხბურთის ფედერაციასთან ლგბტ დროშა დაწვა

პოლიციამ ლადო სადღობელაშვილი დააკავა

შორენა მარსაგიშვილი

ფეხბურთელებს მძიმე პერიოდი დაუდგათ – ისლამური სახელმწიფო მესის, ჩონადღესა და ნეიმარს ემუქრება, ქართული მარში – ეროვნულ ნაკრებსა და ფეხბურთის ფედერაციას.

ჩვენებურები მობურთალებს ოპოზიციაში გურამ კაშიას გამო ჩაუდგნენ, რომელმაც, თავის მხრივ, ცისარტყელას ფერებით შეფერილი სამკლავური გაიკეთა და ამით ლგბტ თემს მხარდაჭერა გამოუცხადა.

მის წინააღმდეგ საქართველოში საშინელი კამპანია აგორდა. ფეხბურთის ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა კაშიას მხარდაჭერა გამოუცხადეს. ამის გამო ქართულმა მარშმა ფედერაციას პედერაცია უწოდა და მისი ოფისის შეღებვით დაიმუქრა.

მალიარის პროფესიის შეთავსებაზე ქართული მარში მხოლოდ ერთ შემთხვევაში ამბობდა უარს – ლევან კობიაშვილს ბოდიში უნდა მოეხადა. კობიაშვილმა ბოდიში არ მოიხადა და მარშელებმა 3 კილო საღებავი შეიძინეს.

ამ დღეებში მათ შესაძლოა საღებავის დამატებითი პარტიის შეძენა დასჭირდეთ. ქართული მარში პრეზიდენტზეა გაცეცხლებული და მისთვის ცალკე აქციის გამართვას აპირებს.

მათი რისხვის ობიექტად მარგველაშვილი გურამ კაშიასთვის გამოხატული მხარდაჭერის გამო იქცა.

ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტი მოღალატეა და ის გარყვნილების პროპაგანდას ეწევა.

– ე.წ. პრეზიდენტი მარგველაშვილი არის ნაძირალა, რომლის ადგილი არის არა სასახლეში, არამედ გლდანის სანაგვეზე, სადაც მალე გადააგდებს და მოისვრის ქართველი ერი.

ე.წ. პრეზიდენტი, რომელიც წარმოადგენს ხორცმეტსა და ჭუჭყს, უნდა მოიკვეთოს. როცა ვაგროვდებით ხელმოწერებს ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ, მან სულში ჩააფურთხა 250 ათას მოქალაქეს. როგორც ნაძირალა და ჰომოსექსუალების მხარდამჭერი, შევა ისტორიაში, როგორც სამარცხვინო ფურცელი. მისი დღეები დათვლილია და მისი გადაყენების მოთხოვნით აქციებს დავიწყებთ.

ფედერაციასთან აქციის შემდეგ გავმართავთ აქციას პრეზიდენტის რეზიდენციასთან, ყურებით გამოვათრევთ სააკაშვილის დატოვებული რეზიდენციიდან მარგველაშვილს. გამოხატვის თავისუფლება არ ნიშნავს გარყვნილების პროპაგანდას, – ამბობს ბრეგაძე.

მარშელების რისხვამ პრეზიდენტი ვერ შეაშინა და ფედერაციასთან დაგეგმილ აქციამდე რამდენიმე საათით ადრე მან კიდევ ერთხელ გამოუცხადა სოლიდარობა კაშიას.

– ყველა ადამიანის უფლებები თუ დაცული არ იქნება, არ იარსებებს ქვეყანაც. ყველა ადამიანი, რომლებსაც თავისუფლების, როგორც უმაღლესი ღირებულების სჯერათ, ვალდებულია, მეორე ადამიანის თავისუფლება დაიცვას. ეს ასეა საქართველოში და ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ თავისუფლების სიმაღლე საბოლოოდ მიღწეული არასდროს არის. მას თითოეული მოქალაქის ყოველდღიური მუშაობა სჭირდება. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქის მთავარი ვალდებულებაა, ამ ღირებულებას ემსახუროს, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ყველა ადამიანის უფლება უნდა იყოს დაცული, კაშიას სამკლავურის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს კი შეგნებულად შემოტანილ თემად მიიჩნევს.

– პრობლემა, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებთან დაკავშირებით, არსებობდა დედამიწის დასაბამიდან, ყველა ქვეყანაში, ყველა ერში, ყველა საზოგადოებაში, ყველა სოციალურ-პოლიტიკური წყობის დროს. უბრალოდ, ახლა ამ თემების გამოყენება ხდება ცალკეული სპეცსამსახურების მხრიდან იმისათვის, რომ ქვეყანაში ჩამოინგრეს ტრადიციული ფასეულობები, – მიაჩნია ბურჯანაძეს.

ის აცხადებს, რომ სოლიდარულია ყველა იმ პირის მიმართ, რომლებსაც დაჩაგრავენ და უკანონოდ მოეპყრობიან. ამის პარალელურად, ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადგილი აქვს სიმახინჯის პროპაგანდას:

– ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ეს ადამიანი შავია, თეთრია, ყვითელია... პრორუსია, პროამერიკელია თუ სექსუალური უმრავლესობისა თუ უმცირესობის წევრია... რაც ახლა დასავლეთიდან მოდის, ეს არ არის ადამიანის უფლებების დაცვა, ეს არის პროპაგანდა და ეს არის მიუღებელი, თორემ დაცვა სჭირდება ყველა ადამიანს ერთნაირად, მისი შეხედულებებისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, – აღნიშნავს პარლამენტის ექსსპიკერი.

ფერად სამკლავურთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზაზა გაბუნიამ.

ჟურნალისტის კითხვას, ხართ თუ არა სოლიდარული კაშიას მიმართო, მან ასეთი პასუხი გასცა:

– ძალადობრივი რიტორიკა, რომელიც მიმართულია რადიკალიზმისკენ, გარიყავს ყოველგვარ რაციონალურობასა და გონივრულობას, მით უმეტეს, დისკუსიასთან დაკავშირებით... ის, რომ ესა თუ ის ადამიანი ეკუთვნის ამა თუ იმ ჯგუფს, ამა თუ იმ თემს, თავისი ღირებულებები აქვს და ასე ცხოვრობს, ბუნებრივია ამ ადამიანის საერთო სოციუმში ცხოვრება კონსტიტუციით გარანტირებული პრივილეგიებისა და უფლებამოსილებების, როგორც სხვა მოქალაქეებისთვის გარანტირებული, მისთვისაც არის უზრუნველყოფილი. ამიტომ, მე ვფიქრობ, ძალიან მოწყვეტილი ვიქნებით კონტექსტიდან, თუკი ამ დონეზე დავა მსჯელობა და შეკითხვა არის ამ კონფიგურაციის, რომ ესა თუ ის ადამიანი იმსახურებს თუ არა საზოგადოებაში თანასწორ ცხოვრებას.

ძველ პოზიციაზე დარჩა კახა კალაძე:

– მარტივი კითხვა მაქვს, რატომ უნდა გაირიცხოს და რა დააშავა კაშიამ. ჩემთვის გაუგებარია მოთხოვნა კაშიას ნაკრებიდან გარიცხვის შესახებ, – ასეთია თბილისის მომავალი მერისა და ნაკრების ყოფილი კაპიტნის შეფასება.

* * *

ფედერაციასთან აქციის გასამართად ქართული მარში გუშინ დილიდან ემზადებოდა. მათ სამართალდამცავები გააფრთხილეს, რომ ფედერაციასთან სამღებრო სამუშაოების შესრულებაში ხელი არ შეეშალათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შსს-ს შენობის შეღებვით დაიმუქრნენ.

აქციამდე ცოტა ხნით ადრე სანდრო ბრეგაძემ სოციალური ქსელით მოსალოდნელ პროვოკაციაზე გაავრცელა ინფორმაცია. მისი თქმით, ფედერაციასთან ლგბტ აქტივისტები მათზე თავდასხმას აპირებდნენ.

სანდრო ბრეგაძე გიორგი მარგველაშვილს ემუქრება

აქციის მონაწილეები ფედერაციასთან 19.00 საათზე მივიდნენ. მათ იქ საპატრულო პოლიცია დახვდათ. ფედერაციის შენობაში შუქი იყო ჩამქრალი.

მარშელებმა ფედერაციასთან საგანგებოდ ნაყიდი საღებავებიც მიიტანეს, არც ლგბტ დროშაც დავიწყებიათ. ამ დროშის აღმართვას ისინი ფედერაციის თავზე აპირებდნენ. ამ მუქარას ლევან კობიაშვილიც გამოეხმაურა და ის მარშელებს შეჰპირდა, რომ დროშას თავზე გადაახევდა.

ფერადი დროშა ვერც ფედერაციის თავზე აღმართეს და ვერც ვერავის გადაახიეს თავზე. დროშა მარშელებმა აქციის დაწყებიდან ცოტა ხანში დაწვეს.

დროშის დაწვამ ლამის რიტუალური სახე მიიღო. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ არ დაუშვებენ საქართველოში გარყვნილებისა და პიდარასტების პოპულარიზაციას.

ფედერაციასთან მობილიზებული პოლიცია აქციის მონაწილეებს შენობასთან არ უშვებდა. ამის გამო მარშელებს სამართალდამცავებთან ფიზიკური დაპირისპირება მოუხდათ.

აქციის მონაწილეებს თან შუშხუნებიც ჰქონდათ, სადაც საღებავები იყო მოთავსებული. მათ შენობას ეს შუშხუნები შორიდან ესროლეს.

ქართულმა მარშმა ჟურნალისტების მიმართულებითაც ისროლა ეს შუშხუნები. მარშელები უკმაყოფილო იყვნენ იმით, თუ როგორ აშუქებდა მედია ამ თემას.

პოლიციამ მათი დაკავება სწორედ პიროტექნიკის სროლის შემდეგ დაიწყო. შსს-ს ცნობით, აქციაზე 6 ადამიანი დააკავეს. დაკავებულთა შორის არის ამ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლადო სადღობელაშვილი.

ფედერაციასთან მიმდინარე აქციის პარალელურად, ტვ პირველზე ფედერაციის მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები აფასებდნენ სიტუაციას. დომენტი სიჭინავამ გურამ კაშიას მიმართ სოლიდარობა კობიაშვილზე ადრე გამოხატა.

თანამებრძოლების დაკავების შემდეგ სანდრო ბრეგაძე პირდაპირ ეთერში ჩაერთო. მან ლევან კობიაშვილს ახალი ბრალდება წაუყენა.

– ლევან კობიაშვილმა, რომელიც ამ დღეებში კაიბიჭობდა და ძველბიჭობდა, პოლიციას დააჭერინა ხალხი, – განაცხადა ბრეგაძემ.

მისი თქმით, კობიაშვილმა სასწრაფოდ უნდა დატოვოს თანამდებობა.

კობიაშვილის გარდა, სანდრო ბრეგაძეს სტუდიაში მყოფი ზვიად სიჭინავაც შემოელანძღა. მარშელმა მას ბაჩო ახალაიას ზონდერი უწოდა და ისიც გაახსენა, აფხაზეთში რომ ჩავიდა.

ვალში მას არც სიჭინავა დარჩა და მარშელებს ფსევდოპატრიოტები უწოდა. მან ასევე მიმართა აქციის მონაწილეებს, 4 ნოემბერს გამოავლინონ საკუთარი პატრიოტიზმი, ჩავიდნენ რუხის ხიდთან და დაიბრუნონ სოხუმი.

– მე დაგხვდებით იარაღით ხელში და ავიღოთ სოხუმი... მე ზადნის არავის მივცემ, – მიმართა აქციის მონაწილეებს სიჭინავამ.

ფეხბურთის ფედერაცია გია კორკოტაშვილმაც დაგმო. მან პოლიციასაც უსაყვედურა და ლგბტ თემის მხარდაჭერაში დაადანაშაულა.

– სპეცოპერაცია ჩაატარეთ და პიდარასტებს დაუდექით გვერდით. ეს არის თქვენი სახე პოლიციის? მალადეც, ძმაო, – მიმართა კორკოტაშვილმა სამართალდამცავებს.

ამასობაში დუმილი დაარღვია გურამ კაშიამ. მან რუსთავი 2-ის ეთერში სამკლავურის ამბავზე ისაუბრა.

– გასახდელში შევედი და ის სამკლავური იქ იდო... მე კაპიტანი ვარ, რა თქმა უნდა, პასუხისმგებელი ვარ გუნდის, რომ გავიყვანო და ეს ჩვეულებრივი თამაში იყო, რომელშიც უნდა მეთამაშა, – ასე ახსნა კაშიამ თავისი ქმედება.

ტურისტულ მარშრუტებში დაცული ტერიტორიების ნუსხა გაიზრდება

– 2018 წლისთვის ვგეგმავთ, ტურისტულ მარშრუტებს დავუმატოთ ნავენახევის მღვიმე, სადურგლიას მღვიმე, ასევე გეგმაში გვაქვს ყაზბეგის ეროვნული პარკის განვითარება.

ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით მარკოზაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, სააგენტო რაჭის დაცული ტერიტორიის გამოცხადებაზეც მუშაობს.

როგორც ცნობილია, წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რეკორდული ზრდა დაფიქსირდა – 2017 წელს ვიზიტორთა რიცხვი, წინა წელთან შედარებით 33%-ით გაიზარდა და 860 ათას მიაღწია.

დავით მარკოზაშვილის განცხადებით, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა ზრდა რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის, სწორი მარკეტინგული მესიჯებით, სწორი სერვისების შეთავაზებითა და, რა თქმა უნდა, საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობით.

– შიდა ტურიზმი ვითარდება, რა თქმა უნდა, სტატისტიკას რომ შევხედოთ საქართველოს მოქალაქეები აჭარბებენ უცხოელებს. ჩვენთან პოპულარული ხდება შაბათ-კვირის გამოყენება ტურისტული ადგილების მოსანახულებლად. ზოგადად ზამთრის პერიოდი არის ნაკლებად დატვირთული, ვიდრე ზაფხულის, რომელიც არის პიკური წლის განმავლობაში. თუმცა ჩვენ ვმუშაობთ, რომ ჩვენი შეთავაზებები მოიცავდეს ოთხივე სეზონს, ამ ზამთარს უკვე შეგვეძლება რამდენიმე საინტერესო შეთავაზება დავაანონსოთ, თუმცა მომავალში გაცილებით მეტს შემოგთავაზებთ, – განაცხადა მარკოზაშვილმა.

მისივე თქმით, დღეს გვაქვს 20 ტერიტორიული ადმინისტრაცია და 88 დაცული ტერიტორია, თუმცა ტურისტებს ყველა მათგანი არ სთავაზობს ტურისტულ სერვისს და ეს არც არის მიზანშეწონილი. „ყველაზე პოპულარული არის პრომეთეს მღვიმე და მარტვილის კანიონები, ასევე ყაზბეგის ეროვნული პარკი, სათაფლია და ოკაცეს კანიონი“, – აღნიშნა მარკოზაშვილმა.

რაც შეეხება ფასების დიფერენციაციას, მისი განცხადებით, განსხვავებული საფასო პოლიტიკა მხოლოდ საქართველოში არ არის. ეს მსოფლიო პრაქტიკაა და ემყარება რამდენიმე მოსაზრებას:

– მათ შორის მთავარია შემდეგი: რადგან საქართველოს მოქალაქეები თვითონ იხდიან გადასახადებს და ამ თანხით ჩვენც ვსარგებლობთ, ვცდილობთ, რომ საქართველოს მოსახლეობას ნაკლებად დააწვეს ეს ტვირთი. მეორე მომენტია, რომ ჩვენ როდესაც ეს სისტემა დავნერგეთ, ფასები გაიზარდა, ძირითადად, უცხოელებზე, მაგრამ ქართველებზეც მოიმატა, ეს მოხდა იმიტომ, რომ ვიზიტორთა რაოდენობას შეიძლებოდა გადაეჭარბებინა მაქსიმუმისთვის, რა შემთხვევაშიც დაცული ტერიტორიების დაზიანების რისკიც შესაძლოა, გაზრდილიყო. თუმცა ვფიქრობთ, რომ ფასი გამოხატავს იმ ხარისხს, რასაც მომხმარებელი იღებს.

აღნიშნული ყველაზე პოპულარული ტერიტორიები ინფრასტრუქტურულად ძალიან კარგად არის განვითარებული, – განაცხადა რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას მარკოზაშვილმა.

რომან გოცირიძე: „ლარის გაუფასურება მთავრობის ბრალია“

„ეროვნულ ბანკზე თავდასხმა არ არის სწორი“

ნონა ცაბაძე

ღახის გაუფასუჩების მიზეზებზე „ახალ თაობას" ფიქსია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე ესაუბრა.

– ბატონო რომან, არჩევნების შემდეგ ლარს ძველ ნიშნულზე ველარ აბრუნებენ. ექსპერტთა ნაწილმა ეს პროცესი არჩევნებს დაუკავშირა, ნაწილი კი კომერციულ ბანკებს ადანაშაულებს. რას ფიქრობთ თქვენ?

– იმას, რომ ლარი გაუფასურდებოდა, ვამბობდი მაშინ, როდესაც ლარი მყარდებოდა. როდესაც ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ დამთავრებულია ლარის გაუფასურების საკითხი და ლარის სიმტკიცეს არაფერი ემუქრებაო და ზაფხულში ყველა მოიცვა დაუსაბუთებელმა ოპტიმიზმმა. იგავი რომ არის, ჭრიჭინა და ჭიანჭველა, მთელი ზაფხული ჭრიჭინობელასავით უშრომ-უდარდელად ატარა საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა. მათ ეგონათ, რომ ყველაფერი ასე ხავერდოვნად იქნებოდა.

– არასწორი პოლიტიკა აირჩიეს?

– სწორედ მაშინ ვაფრთხილებდი, რომ არ იყო სწორი ის პოლიტიკა, რომელსაც დაადგა მთავრობა – 5 ივლისიდან დაიწყო კომერციულ ბანკებზე ფულის გასესხება. 500 მილიონი ლარის ოდენობით ფული ასესხა კომერციულ ბანკებს 3 თვეში. ნაცვლად იმისა, რომ 5 ოქტომბრიდან ეს ფული ნელ-ნელა უკან ამოეღო, დაბრუნების დღესვე, კვლავ აუქციონით ისევ აძლევენ კომერციულ ბანკებს. დღეისთვის 450 მილიონი ლარია გასესხებული კომერციულ ბანკებზე.

ამის გაკეთება აბსოლუტური უაზრობა იყო. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ მთავარია, იყოს ეკონომიკური ზრდა და დაზარალდეს ფასები და ლარის კურსი. მათ დაავიწყდათ, რომ ეკონომიკის ზრდა არ იქნება, თუ ლარი გაუფასურდება და შემდეგ ეს გამოიწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას, ბიზნესის დახურვას და ადამიანების შემოსავლების კლებას. დღეს მთავრობა ამაყობს, რომ 5%-მდე მიახლოებული ეკონომიკური ზრდა აქვს, მაგრამ მისი შედეგი ფაქტობრივად შეჭამა ფასების ზრდამ და ლარის გაუფასურებამ.

– გამოდის, რომ უკუშედეგი მიიღეს.

– ეკონომიკის ზრდის შედეგს ადამიანი ვერ იგრძნობს, ვინაიდან მთავრობამ ერთი ხელით გაკეთებული საქმე მეორე ხელით გააარესა. ასევე ეროვნულმა ბანკმა, როდესაც ლარი სტაბილური იყო, ვერ შეაფასა მომავლის რისკები და დაიწყო რეფინანსირების სესხების გაზრდა. თუ მაქსიმალური იყო 1,3 მილიარდი და ისიც ერთკვირიანი სესხები წინა პერიოდში, დღეისთვის არის 1,7 მილიარდი. გალარების ამ პროცესში ახალი ინსტრუმენტი შემოიღო, კომერციული ბანკებისათვის ერთთვიანი სესხების გაცემა და ამ ერთთვიანი სესხებით 400 მილიონია გაცემული დღეს. ამას დამატებული კიდევ ის ტრადიციული რისკები, რომლებიც ყოველთვის იყო, მთავრობა ვერ ხარჯავს ფულს თანმიმდევრულად.

– ამით რისი თქმა გსურთ?

– რასაც გეგმავენ, იმას ვერ ასრულებენ. ამ კვარტალში უნდა დაიხარჯოს 400 მილიონით მეტი, ვიდრე იყო დაგეგმილი, ბუნებრივია, ესეც იწვევს ლარზე ზემოქმედებას. ბიუჯეტში არის ისეთი ხარჯები, რომლებიც ყოველთვის ქმნის ფასების ზრდისა და ლარის გაუფასურების რისკს. ბიუჯეტის დეფიციტს უყურებენ ალმაცერად, მაგრამ სწორედ ბიუჯეტის დეფიციტია ის, რაც უყო ამ მთავრობას, ზედიზედ ოთხჯერ გამოიწვია ლარის გაუფასურება.

– ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ლარის გაუფასურების ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა კომერციული ბანკების სპეკულაციური ოპერაციები იყოს. ამაზე რას იტყვით?

– ეს არის სისულელე. ამას სერიოზული ეკონომისტი არ იტყვის არასდროს. ამას ამბობენ მოექსპერტო ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ ფუნდამენტური განათლება ამ სფეროში. რა თქმა უნდა, ბლუმბერგზე ვაჭრობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ის, რაც იყო მანამდე, თუმცა შეიძლება კიდევ უკეთესიც ყოფილიყოს, რომ მხოლოდ კომერციული ბანკები არ იყოს მასში და ეს არეალი გაფართოვდეს.

– კიდევ ვის შეუძლია, რომ ამ ტერმინალში ივაჭროს? ეს მცირე საფინანსო ორგანიზაციებისთვისაც ხელმისაწვდომია?

– არავინ არ უშლის, შეუძლიათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსაც და სხვებსაც ბლუმბერგის ტერმინალში ივაჭრონ. თუმცა სისტემა არ არის ისეთი, ბევრს არა აქვს ამის სურვილი, მეორეც, ეს ძვირია და არ არის მექანიზმი ისე აგებული, რომ დამატებითი მოთამაშეები გაჩნდეს სავალუტო ბაზარზე. ის, რომ ეს არ არის სრულყოფილი, არ ნიშნავს, რომ ამ არასრულყოფილების გამო ხდება ლარის გაუფასურება. იმ 9-წლიანი პერიოდის ნახევარშიც ეს სისტემა არსებობდა, მაგრამ მაშინ ლარი არ გაუფასურებულა. ამიტომ არ არის ეს არც ბლუმბერგის და არც ბანკების სპეკულირების ბრალი. ბანკებიც ზარალობენ არასტაბილური კურსის პირობებში.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების ეროვნული ბანკის პოლიტიკის ბრალია ყველაფერი?

– მე ვამბობ, რომ ძირითადი დამნაშავეა მთავრობა. როდესაც დეპუტატები თავს ესხმიან ეროვნულ ბანკს, ეს არის ძველი პოლიტიკის გაგრძელება, იმიტომ, რომ ეროვნულ ბანკზე თავდასხმა ნიშნავს მთავრობის არასწორი პოლიტიკის გამართლებას. არ უნდათ დაინახონ, რა ხდება ქვეყნის ეკონომიკაში და ამით ამართლებენ საკუთარ პოლიტიკურ გუნდს.

ეროვნული ბანკი არ არის პოლიტიკური დაწესებულება და ის არ არის პოლიტიკურად პასუხისმგებელი, ხოლო მთავრობა და მმართველი პარტია პოლიტიკურად პასუხისმგებელი ორგანოა და თუ ინფლაცია იქნება, ლარი გაუფასურდება, ეკონომიკა სწორად არ წავა და სიღარიბე გაიზრდება, ხალხი გადაირჩევს მათ. ამიტომ მათ უნდათ, რომ მოძებნონ განტევების ვაცი. ეს განტევების ვაცი ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, აღმოჩნდა ეროვნული ბანკი. ეროვნულ ბანკზე თავდასხმა არ არის სწორი.

ვინ სპეკულირებს ლარის კურსით?

ეკონომიკური ექსპერტი ლევან კალანდაძე ვარაუდობს, რომ ლარის კურსის გაუფასურების ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა ბანკების მიერ განხორციელებული სპეკულაციური ოპერაციები იყოს.

ამის შესახებ კალანდაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსის“ ეთერში ლარის გაუფასურების კომენტირებისას განაცხადა.

– ლარის კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არის პასუხგაუცემელი კითხვები სპეკულაციებთან დაკავშირებით. ეს არის მესამე ფაქტორი ვალუტის გაუფასურების. ყველას, ვისაც შეუძლია ოპერაციები განახორციელოს, აწყობს ეს. ეროვნული ბანკი თვითონ ვაჭრობას არ ახდენს, ბლუმბერგზე ვაჭრობენ მხოლოდ ბანკები. იმისთვის, რომ სპეკულაციური ოპერაცია განახორციელო, ხელი უნდა მიგიწვდებოდეს ბლუმბერგზე და უნდა გქონდეს ფული. ასეთი ორგანიზაციები არიან ბანკები, რომლებიც ბლუმბერგზე ვაჭრობენ. სპეკულაციური ოპერაციები ცუდს არაფერს წარმოადგენს, არც კანონით არის აკრძალული. ეს არის ჩვეულებრივი ბიზნეს-ოპერაციები, რომელსაც ყველგან ახორციელებენ, მაგრამ აქ პრობლემა ის კი არ არის, რომ ვიღაც სპეკულაციურ ოპერაციას ახორციელებს, არამედ აქ პრობლემა ჩნდება მაშინ, როცა სპეკულაციურმა ოპერაციამ შესაძლოა კურსის კორექტირება მოახდინოს ქვეყანაში. ეს ოპერაციები ყველგან ხორციელდება, თუმცა ეროვნული ვალუტის კურსზე არ ახდენს გავლენას, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

„ის, რაც ეროვნულ ვალუტას სჭირს, ეროვნული ბანკის არასწორი საქმიანობის შედეგია“

ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი ლარის ბოლოდროინდელ ნახტომისებურ გაუფასურებას „საქმის კურსთან“ ეხმაურება. ბიზნესმენი პასუხისმგებლობას ეროვნულ ბანკს აკისრებს და აცხადებს, რომ ის, რაც ეროვნულ ვალუტას სჭირს, სებ-ის არასწორი მუშაობის შედეგია.

ძალიან ცუდ მოლოდინებს აჩენს. შოკია პირდაპირ ჩვენი ქვეყნისთვის. მე არ ვიცი, რატომ უშვებს ამას ეროვნული ბანკი.

ყველა საშუალება აქვს, რომ ასეთი ფლუქტუაციები არ იყოს. ფუნდამენტური ფაქტორები რომ არ არსებობს და მაინც უშვებს ეროვნული ბანკი ეს მის უნიათობაზე მიუთითებს. არანაირი საგარეო ფაქტორი არ არის. ეს არის მხოლოდ ეროვნული ბანკის არასწორი მუშაობა. როცა ასეთ შოკს უკეთებ ბიზნესს, რა თქმა უნდა, გამოსვლას დრო სჭირდება. იზრდება უნდობლობა, ემოციური შესყიდვები დოლარის და ა.შ, – აცხადებს ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტ არჩილ მესტვირიშვილის განცხადებით, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ლარს საფრთხე არ ემუქრება და თუ ეროვნული ბანკი დაინახავს, რომ ინფლაციის საფრთხე იქმნება, ისინი შესაბამის ნაბიჯებს გადადგამენ.

რის გაკეთებას გეგმავს კახა კალაძე თბილისში

„რადიო ქალაქი“ მუხიანში, რეაბილიტირებული მზიურისა და დენდროლოგიური პარკი, განათლების პარკი, ძველი თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია.

ეს იმ პროექტების ნაწილია, რომლის განხორციელებასაც დედაქალაქის ახლად არჩეული მერი კახა კალაძე მომავალი 4 წლის განმავლობაში გეგმავს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა თუ რას დაჰპირდა კალაძე თბილისსა და თბილისელებს და გთავაზობთ რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს, რომელთა განხორციელებაც მომავალ წლებში იგეგმება.

დაგეგმილია მეტროს მოდერნიზაცია; 700 ახალი ავტობუსის შემოყვანა; ავტობუსის გაჩერებების განახლება და 500 ახალი გაჩერების დამონტაჟება; რუსთაველი-მთაწმინდის საბაგიროს მშენებლობის დასრულება და ახალი საბაგირო გზების დაპროექტება-მშენებლობა; მტკვარზე წყლის ტრანსპორტის განვითარება.

ამასთან, კახა კალაძის დაპირებების თანახმად, მომდევნო წლებში იგეგმება ასევე: დედაქალაქის მასშტაბით 20 ახალი საბავშვო ბაღის, უფროსკლასელებისთვის 5 სპეციალიზებული სკოლის (ევროპული სკოლა; HTH საქართველო; ხელობის სკოლა; ხელოვნების სკოლა;STEM სკოლები) მშენებლობა; ახალგაზრდებისთვის ღია სივრცეებისა და ქალაქის 10-ვე რაიონში მულტიფუნქციური კომპლექსის მოწყობა; ამასთან, თბილისის ყველა რაიონში მოეწყობა განათლებისა და კულტურის ახალგაზრდული ცენტრები.



დედაქალაქის ახალი მერი გეგმავს მუხიანში, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე, „რადიო ქალაქის“ მოწყობას. კომპლექსი, რომელიც 102.000 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე, კერძო ინვესტიციით უნდა მოეწყოს, მოიცავს: სპორტულ და გასართობ შემეცნებით სივრცეებს, შიდა და გარე აუზს, სპორტულ მოედნებს, საგამოფენო დარბაზებს, კინოთეატრს

ღია ცის ქვეშ გასართობ და დასასვენებელ სივრცეებს, კარტინგსა და სხვა.

დაგეგმილია მზიურის პარკის სრული რეაბილიტაცია, კალაძის დაპირების ტერიტორიაზე დასასვენებელი სივრცეები და დამატებითი გამწვანება მოეწყობა; ასევე მოხდება თბილისის ზღვაზე მდებარე დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაცია, შედეგად მოეწყობა დასასვენებელი სივრცეები ოჯახებისთვის, საპიკნიკე ზონები, სარბენი და ველობილიკები.

კახა კალაძე აპირებს ასევე თბილისში განათლების პარკის აშენებას, სადაც მოეწყობა თანამედროვე ლაბორატორიები, სწავლება განხორციელდება უახლესი მეთოდიკით. მოხდება ვეფხი და მოყმის ტერიტორიის განახლება, აშენდება ხიდი, რომელიც გელოვანის გამზირსა და სამტრედიის ქუჩას დააკავშირებს; დაგეგმილია ესტაკადების მშენებლობაც, კერძოდ, უნივერსიტეტისა და თამარაშვილის ქუჩების კვეთაზე; ასევე აშენდება ვაშლიჯვრის დასახლებიდან გელოვანის გამზირზე ჩასასვლელი ესტაკადა.

გარდა ამისა, კალაძის მნიშვნელოვანი საარჩევნო დაპირებები იყო: ხრუშჩოვკების ეტაპობრივი ჩანაცვლების პროექტი; მასშტაბური რეკრეაციული პროექტები ვერესა და თბილისის ზღვაზე; ტაქსების სექტორის მოწესრიგება; ღამის ეკონომიკის განვითარება – ღამის ტურისტული მარშრუტების შემუშავება, ღამის საათებში მუზეუმების, საგამოფენო სივრცეებისა და კინოთეატრების გახსნა.

9 წელი ციხე საზარელი ავარიის დამნაშავისთვის, რომელსაც ოჯახის 5 წევრი შეეწირა

გუშინ, 31 ოქტომბერს, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე ბიძინა სტურუა) ლანჩხუთში დაკავებულ ყაზახეთის მოქალაქეს, ერჟან არჟანოვს, 9- წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

უცხო ქვეყნის მოქალაქე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო დააკავეს. სატვირთო ავტომანქანის მძღოლს ბრალად 5 ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ერთის ნაკლებად მძიმე დაზიანება ედებოდა (სსკ 276-ე მუხლის პირველი და მეშვიდე ნაწილი).

გუშინდელ სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა საბოლოო სიტყვის თქმისგან თავი შეიკავა.

მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათთან სატვირთო ავტომანქანას მისაბმელი მოსძვრა, რის შედეგადაც მსუბუქი ავტომანქანის 5 მგზავრი დაიღუპა. ამავე ავტომანქანის 1 მგზავრი კი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ხუთივე გარდაცვლილი ერთი ოჯახის წევრი იყო.

სარფში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა საბაჟო- გამშვებ პუნქტ „სარფში“ არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების ქვეყანაში კანონდარღვევით შემოტანის ფაქტი აღკვეთეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქართველოს მოქალაქეს რ.გ-ს, ფიზიკური დათვალიერებისას არადეკლარირებული საიუველირო ოქროს (საერთო წონა 56.95 გრამი) ნაკეთობები გამოვლინდა.

საქონლის საბაჟო ღირებულებამ 3,458.57 ლარი შეადგინა. საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10-ე ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა 3,458.57 ლარის ოდენობით შეეფარდა.

დონეცკის ოლქში მომხდარ შეტაკებებს ქართველი მებრძოლი ემსხვერპლა

უკრაინაში, დონეცკის ოლქში, შეტაკებების შედეგად საქართველოს ერთი მოქალაქე, გიორგი სარალიძე, დაიღუპა. ინფორმაციას უკრაინაში მებრძოლი ნიკა კაპანაძე ადასტურებს.

გიორგი სარალიძე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე იყო. ის უკრაინის შეიარაღებულ ძალებს პრორუსი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან ეხმარებოდა.

თაღლითები გონიოში დაკარგული მყვინთავის, გიორგი ნანეტაშვილის, სახელით მის ოჯახს 39.000 დოლარს სთხოვდნენ

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურაში განუცხადეს, 2017 წლის თებერვალ-აპრილის პერიოდში დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ზღვაში წვრთნებისას დაკარგული ერთ-ერთი სამხედრო მოსამსახურის გიორგი ნანეტაშვილის ოჯახის წევრებს, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, 4-ჯერ გაუგზავნეს წერილი, რომლითაც თითქოსდა გიორგი ნანეტაშვილი ითხოვდა თანხის – 39.000 (ოცდაცხრამეტი ათასი) აშშ დოლარის ჩარიცხვას საბანკო ანგარიშზე, რომელიც ეკუთვნის ერთ-ერთ ბრალდებულს.

გარდა ამისა, ერთ-ერთი ბრალდებული უშუალოდ შეხვდა ნანეტაშვილის დედას და არწმუნებდა, რომ ყველაფერი იყო კარგად და თანხა უნდა ჩაერიცხა მითითებულ ანგარიშზე.

„გამოძიების პროცესში ჩატარდა სხვადასხვა სახის საგამოძიებო, მათ შორის ფარული საგამოძიებო მოქმედები, რა დროსაც შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე თაღლითობის მცდელობაში მხილებული იქნა სამი პირი, რომელთაც წარედგინათ ბრალდება სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით. ამჟამად, სისხლის სამართის საქმეს არსებითად განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო“, – აცხადებენ პროკურატურაში.

„ინტერპრესნიუსისთვის“ გუშინ გახდა ცნობილი, რომ გონიოში, ზღვაში, ერთი წლის წინ, წვრთნების დროს გაუჩინარებული მყვინთავების ოჯახებისთვის თაღლითური ჯგუფი მოტყუებით ფულის გამოძალვას ცდილობდა.

როგორც სააგენტოს ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, ორი პირი ოჯახებს წერილებს დაკარგული მყვინთავების სახელით წერდა და მათგან ფულს ითხოვდა. კერძოდ, წერილებში ბოროტმოქმედები ოჯახებს არწმუნებდნენ, თითქოს გაუჩინარებული სამხედროები თავად იყვნენ, თურქეთში იმყოფებოდნენ და თანხა ესაჭიროებოდათ.

არაოფიციალური ინფორმაციით, ბრალდებულები ოჯახებისგან 39 ათასი დოლარის მიღებას გეგმავდნენ.

გონიოში ზღვაში წვრთნების დროს გაუჩინარებული მყვინთავების ოჯახებისთვის ფულის გამოძალვის ფაქტი სამართალდამცველებმა რამდენიმე თვის წინ გახსნეს. საქმეზე ბრალდებულები თავდაცვის სამინისტრომ და

პროკურატურამ ერთობლივად დააკავეს.

საქმეზე სასამართლოში ამ ეტაპზე არსებითი განხილვები მიმდინარეობს. ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

2016 წლის 16 აგვისტოს გონიოს ყოფილი სასროლეთის ტერიტორიაზე, შავ ზღვაში მიმდინარე წვრთნის დროს, ორი სამხედრო მოსამსახურე, კაპრალი იაგო შარაძე და I კლასის რიგითი გიორგი ნანეტაშვილი გაუჩინარდნენ.

სამხედროების პოვნა ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

გიორგი სოზაშვილი: „დამირეკეს და მითხრეს, თითქოს მე იმიტომ მიკეთებენ ამას, რომ რუსთავი 2-ს ვაფინანსებ“

– დამირეკეს და მითხრეს, თითქოს მე იმიტომ მიკეთებენ ამას, რომ რუსთავი 2-ს ვაფინანსებ.

ეს განცხადება „სალვუსდეველოპმენტის“ მფლობელმა გიორგი სოზაშვილმა 30 ოქტომბერს გვიან ღამით საპატრულო საგამოძიებო განყოფილების დატოვების შემდეგ გააკეთა.

მისი თქმით, თებერვალში მის კომპანიაში საგადასახადო ინსპექცია შევიდა, რის შემდეგაც მას ღიად მიანიშნეს, რომ ტელეკომპანიასთან ურთიერთობა შეეწყვიტა და რუსთავი 2-ში რეკლამა აღარ განეთავსებინა.

– დამირეკეს და მითხრეს, რომ მე იმიტომ მიკეთებენ ამას, რომ რუსთავი 2-ს ვაფინანსებ, იმიტომ, რომ ძალიან დიდი შეკვეთა გვქონდა შეკვეთილი რუსთავი 2-ზე. პირდაპირ მითხრეს, რომ ეს ამის გამო კეთდება. ძალიან ვთხოვთ ყველას, ბიზნესს ვაცადოთ თავისუფლად საქმის კეთება, – ამბობს გიორგი სოზაშვილი.

გიორგი სოზაშვილის საგამოძიებო უწყებიდან გამოკითხვის გარეშე, ნარკოლოგიური შემოწმების შემდეგ გაათავისუფლეს.

ადვოკატის ვარაუდით, სამხილების არარსებობის გამო საქმე მალე მთლიანად შეწყდება.

საბერძნეთში დაკავებული 8 ქართველიდან 19 წლის ქუთაისელი ანანო ხერხაძე გაათავისუფლეს

საბერძნეთში დაკავებული 8 ქართველიდან ერთ-ერთი, 19 წლის ქუთაისელი ანანო ხერხაძე, გაათავისუფლეს.

ამის შესახებ ინფორმაციას დაკავებულის დედა ავრცელებს.

სოფო ფხაკაძის განცხადებით, მის შვილს არაფერი დაუშავებია, მისი დაკავების მიზეზი კი შესაბამისი დოკუმენტაციის არქონა გახდა.

ანანო ხერხაძე სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდა განყოფილებაში. ოჯახის ინფორმაციით, გოგონა მომხდარს და მედიით მისი ფოტოების გავრცელებას ძალიან განიცდის.

– საბერძნეთის პოლიცია და მედია ცრუ ინფორმაციას ავრცელებს, ის არ იყო დამნაშავეთა დაჯგუფების წევრი. გოგონა 19 წლისაა, – განაცხადა ხერხაძის ახლობელმა.

საბერძნეთის პოლიციის ცნობით, ხანდაზმული პირების დაყაჩაღების ბრალდებით 8 საქართველოს მოქალაქეა დაკავებული. მათ მიერ ნაძარცვი ნივთების ღირებულებამ 200 ათას ევროს მიაღწია. მათივე ინფორმაციით, დაკავებულები მიზანმიმართულად ხანშიშესული ადამიანების საცხოვრებელ სახლებში შედიოდნენ და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებად ასაღებდნენ თავს, რის შემდეგ მათ ძარცვავდნენ.

ბერძნული მედიის ინფორმაციით, ისინი სხვადასხვა გვარ-სახელით სარგებლობდნენ.

დასაჯეთ დამნაშავეები!

მთავარ პროკურატურასთან „ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებულებმა აქცია გამართეს

გუშინ, 31 ოქტომბერს, მთავარ პროკურატურასთან ბავშვთა სამყაროში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულთა საპროტესტო აქცია გაიმართა.

აქციის მონაწილეები დამნაშავე პირების დასჯას, მათთვის ზარალის ანაზღაურებას ითხოვდნენ.

როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილე ჯული ელიავამ განაცხადა, ბავშვთა სამყაროში ხანძარი ხელოვნურად გაჩნდა, შესაბამისად, საჭიროა პროკურატურამ დროულად გამოავლინოს დამნაშავე პირები და დააკისროს მათ ზარალის ანაზღაურება. წინააღმდეგ შემთხვევაში საპროტესტო აქციები პერმანენტულად გაგრძელდება.

საპროტესტო აქციას მხარდაჭერა გამოუცხადა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ზაზა ხატიაშვილმა. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვთა სამყაროში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულ პირთა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, მთავარმა პროკურორმა დაკავებული თანამდებობა უნდა დატოვოს.

აქციის მონაწილეებს პროკურატურასთან მიტანილი ჰქონდათ ბანერები, ასევე საყვირები.

„ყაზბეგის“ საბაჟოზე ვაზნები აღმოაჩინეს

საბაჟო-გამშვებ პუნქტ „ყაზბეგში“ ვაზნები აღმოაჩინეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქე ა.ჩ-ს, კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერების შედეგად 50 ცალი სანადირო თოფის ვაზნა, 100 ცალი ფისტონი და 1.5 კგ. დენთი აღმოაჩინეს.

საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ყაზბეგის რაიონულ სამმართველოს გადაეცა.

პოლ მანაფორტსა და რიკ გეიტსს ბრალდება წაუყენეს

რა ელის ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილ ხელმძღვანელს

პოლ მანაფორტი


რიკ გეიტსი

აშშ-ში გრძელდება გამოძიება არჩევნებში რუსების ჩარევის თაობაზე. ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ სპეცპროკურორ მიულერის მიერ წამოყენებული ბრალდებები დასაბუთებულად ცნო. ყველა მოელოდა, რომ ეს უბრალოდ არ ჩაივლიდა. ასეც მოხდა. ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი პოლ მანაფორტი და მისი ბიზნეს პარტნიორი რიკ გეიტსი აშშ-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში დაადანაშაულეს.

ბი-ბი-სი, მიმოიხილავს რა შექმნილ ვითარებას, აკეთებს დასკვნას, რომ ჯერჯერობით ყველა ბრალდება მანაფორტის წარსულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ტრამპსაც თავისუფლად შეუძლია განაცხადოს, რომ ამის თაობაზე არაფერი იცოდა და როგორც კი ყოველივე შეიტყო, მანაფორტი შტაბის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

მანაფორტთან ერთად საქმეში ბიზნესმენი რიკ გეიტსიც ფიგურირებს. ის რესპუბლიკურ პარტიასთან დაახლოებული ფულის „გათეთრებაში“. ბი-ბი-სი-ს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ტრამპს ჯერჯერობით შეშფოთების მიზეზი არა აქვს, რადგან ყველა ბრალდება მანაფორტის წარსულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ტრამპსაც თავისუფლად შეუძლია განაცხადოს, რომ ამის თაობაზე არაფერი იცოდა და როგორც კი ყოველივე შეიტყო, მანაფორტი შტაბის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

– ჰილარი კლინტონმა ჩემ წინააღმდეგ ყალბი მასალები დაამზადებინა და ამაში დიდძალი ფული გადაიხადა! არ მესმის, ამას რატომ ვერავინ ხედავს?! – ამბობს ტრამპი.

კიევში მოკლეს ამინა ოკუევა

უკრაინის დედაქალაქში ახალი ტერაქტი მოხდა. გლევახასთან, კიევის მახლობლად, მოკლეს დონბასის ომის გმირი ამინა ოკუევა.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩევლის ანტონ გერაშჩენკოს ცნობით, ოკუევაზე საგანგებოდ ნადირობდნენ.

– ტერორისტები ამინასა და მის ქმარს საგანგებოდ ჩაუსაფრდნენ. მანქანა, რომლითაც ისინი გადაადგილდებოდნენ, დაცხრილეს. ამინა დაიღუპა, მისი ქმარი ადამ ოსმაევი კი დაიჭრა, მაგრამ გადარჩა, – ამბობს გერაშჩენკო.

გონსმოსულმა ადამ ოსმაევმა გამოძიებას პირველი ჩვენება მისცა. მან განაცხადა, რომ მათ მანქანას ჩასაფრებულმა ტერორისტებმა ესროლეს. ოსმაევი თვლის, რომ მათზე სპეციალურად ნადირობდნენ.

– ჩვენზე თავდასხმა ორგანიზებული ჯგუფის ნახელავია, – ამბობს იგი.

ამინა ოკუევა 1983 წელს ოდესაში დაიბადა. მალე მშობლებთან ერთად გროზნოში გადასახლდა. უკრაინაში ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ დაბრუნდა. დაამთავრა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობდა ქირურგად. ოკუევა ევრო რევოლუციის აქტიური მონაწილეა. დონბასის ომის დაწყებისთანავე თავის ქმართან, ადამ ოსმაევთან, ერთად ფრონტზე მოხალისედ წავიდა. ოკუევამ, როგორც სამხედრო ექიმმა, არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ის ბრძოლებშიც აქტიურად მონაწილეობდა, როგორც სნაიპერი. ოკუევა მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს და მის მარიონეტ რამზან კადიროვს.

– პუტინი და კადიროვი ბოროტმოქმედები არიან! ორივე ისე დაამთავრებს, როგორც მუამარ კადაფიმ დაამთავრა! – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ამინამ.

ასეთმა პოზიციამ კრემლის რისხვა გამოიწვია. ამინას მეუღლე ადამ ოსმაევი რუსეთმა პუტინზე ტერაქტის მომზადებაში დაადანაშაულა. ცოლ-ქმარზე დაიწყო ნადირობა. მათზე პირველი თავდასხმა კიევის ცენტრში განხორციელდა. ოკუევა მაშინ გადარჩა. მან ტერორისტს წამით დაასწრო და ზუსტი გასროლით მოკლა. მეორე თავდასხმა წარმატებული გამოდგა.

უკრაინის უშიშროების სამსახურის ექსშეფი, გენერალი იგორ სმეშკო მიიჩნევს, რომ თავდასხმა მოსიიჩუკზე, ახლა კი ოკუევასა და მის ქმარზე, ერთი ჯაჭვის შემადგენელი რგოლებია.

– უკრაინა რუსეთთან ომის მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენი მოწინააღმდეგე ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ უკრაინაში ქაოსი დათესოს და მოსახლეობა ტერორით დააშინოს! – თქვა სმეშკომ.

გენერლის აზრით, აუცილებელია მთელი ძალების მობილიზება და ქვეყნის აგრესორისგან დაცვა. საამისოდ კი უკრაინული ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერება, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ახალ საფეხურზე აყვანაა საჭირო.

– ეს უკვე დროის მოთხოვნაა! – თვლის სმეშკო.

„ქურთებმა და ერაყის მთავრობამ საერთო ენა უნდა გამოძებნონ“

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მიესალმა ქურთისტანის პრეზიდენტ ბარზანის გადაწყვეტილებას გადადგომის თაობაზე.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ერაყის ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ქურთებმა საერთო ენა უნდა გამოძებნონ.

– ქურთულმა პარტიებმა და ქურთების რეგიონალურმა პარლამენტმა საერთო ენა უნდა გამოძებნონ. იგივე შეეხება ერაყის მთავრობასა და ქურთისტანის რეგიონალურ ხელისუფლებასაც! – ნათქვამია განცხადებაში.



აფეთქება ქაბულის ცენტრში — 13 დაიღუპა, 13 დაშავდა

ქაბულის ცენტრში აფეთქების შედეგად სულ მცირე 13 ადამიანი დაიღუპა და კიდევ 13 დაშავდა.

შემთხვევა ავღანეთის დედაქალაქის დიპლომატიურ უბანში, ვაზირ-აქბარ-ხანში მოხდა, სადაც უცხო ქვეყნების საელჩოები და სამთავრობო შენობები მდებარეობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66
- ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

მოჭადრაკეთა წარმატებული ტური

საქართველოს ქალთა ნაკრებმა საბერძნეთის კრეტაზე მიმდინარე ევროპირველობის მესამე ტურში ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა და სათავეში ჩაუდგა ლიდერთა ჯგუფს. მომდევნო ტურში ჩვენს მოჭადრაკეებს საჩემპიონო მატჩი ელით რუს კოლეგებთან.

მე-3 ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა უნგრეთს 3:1 სძლიეს. ბელა ხოტენაშვილმა და ლელა ჯავახიშვილმა, შესაბამისად, პეტრა პაპი და ტისია გარა დაამარცხეს, ნანა ძაგნიძე ტრან ჰოანგს დაუზავდა, ნინო ბაციაშვილმა კი ყაიმი სიდონია ვაიდასთან გააფორმა.

შედეგად, საქართველოს ნაკრებმა 6 ქულა მოაგროვა და ესპანეთთან, პოლონეთთან და რუსეთთან ერთად პირველ-მეოთხე ადგილებს ინაწილებს.

ვაჟთა გუნდმა ისლანდიის ნაკრები 3,5:0,5 გაანადგურა და მეოთხე ტურში რუმინელებს დაუპირისპირდება.

ისლანდიელებთან თავიანთი პარტიები მოიგეს მიხეილ მჭედლიშვილმა, ლევან ფანცულაიამა და ლუკა პაიჭაძემ, დავით ჯოჯუა კი თავის მეტოქეს დაუზავდა.

ქართველი ვაჟები 4 ქულით 9-17 პოზიციებს იყოფენ.

გიორგი ნემსაძის გუნდი ელიტრაუნდში მეორე ადგილით გავიდა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევრო 2018-ის საკვალიფიკაციო ეტაპი იტალიასთან 0:2 წაგებით დაასრულა. მარცხის მიუხედავად, გიორგი ნემსაძის გუნდი გაისად ელიტრაუნდში იასპარეზებს. მასპინძელი ქვეყანა და მეტოქეები მოგვიანებით დადგინდება.

ქართველმა ჭაბუკებმა ელიტრაუნდის საგზური მეორე ტურში გაინაღდეს, როცა მონტენეგროს მიხეილ მესხზე 2:0 სძლიეს. პირველ ტურში კი ნემსაძის გუნდმა ლატვია დაამარცხა – 1:0.

იტალიამ უკეთ ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. დავიდე ანჯელო ჯისლანდიმ მცველებისა და ნახევარმცველების შეუთანხმებელი თამაშით ისარგებლა და ანგარიში შორეული ძლიერი დარტყმით გახსნა, ედოარდო ვერგანიმ კი ზუსტად შეასრულა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

იტალიამ სამივე თამაში მოიგო და 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, საქართველო კი 6 ქულით მეორეა.

საქართველო: ხარშილაძე, კაპანაძე, გელაშვილი, ნონიკაშვილი, აზაროვი, კვარაცხელია, გულიაშვილი, დავითაშვილი, მექვაბიშვილი, შალიკაშვილი (ჩოთალიშვილი 80), ლუკა-სებასტიან შვარცი

იტალია: გელმი, ბარაძეტა (მიქელოტი 46), არმინი, სერპე, ჯისლანდი (ტონინი 68), გუაბუაა, ვერგანი, პონსი, გრეკო, სანდრი, კორტინოვისი (ლეონე 79).

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

30 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲘᲩᲘᲠᲘᲒᲐ

ბარნლი-ნიუკასლი 1:0

ᲡᲐᲢᲣᲩᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.სიტი	10	9	1	0	35-6	28
2.მანჩესტერი	10	7	2	1	23-4	23
3.ტოტენჰემი	10	6	2	2	19-7	20
4.ჩელსი	10	6	1	3	18-10	19
5.არსენალი	10	6	1	3	19-13	19
6.ლივერპული	10	4	4	2	17-16	16
7.ბარნლი	10	4	4	2	9-9	16
8.უოტფორდი	10	4	3	3	15-18	15
9.ნიუკასლი	10	4	2	4	10-9	14
10.საუთჰემპტონი	10	3	4	3	9-10	13
11.ლესტერი	10	3	3	4	14-14	12
12.ბრაიტონი	10	3	3	4	10-11	12
13.ჰადერსფილდი	10	3	3	4	7-13	12
14.სტოკი	10	3	2	5	11-20	11
15.ვესტ ბრომვიჩი	10	2	4	4	9-13	10
16.ვესტ ჰემი	10	2	3	5	10-19	9
17.სუონსი	10	2	2	6	7-12	8
18.ევერტონი	10	2	2	6	7-20	8
19.ბორნმუთი	10	2	1	7	6-14	7
20.კრ.პალასი	10	1	1	8	4-21	4

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ლას პალმასი-დეპორტივო 1:3
ესპანიოლი-ბეტისი 1:0

ᲡᲐᲢᲣᲩᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ბარსელონა	10	9	1	0	28-3	28
2.ვალენსია	10	7	3	0	27-11	24
3.რეალი	10	6	2	2	19-9	20
4.ატლეტიკო	10	5	5	0	15-6	20
5.სევილია	10	6	1	3	11-9	19
6.ვილიარეალი	10	5	2	3	16-11	17
7.ლეგანესი	10	5	2	3	9-5	17
8.ბეტისი	10	5	1	4	19-18	16
9.სოსიედადი	10	4	2	4	21-20	14
10.ესპანიოლი	10	3	4	3	9-12	13
11.ხეტაფე	10	3	3	4	13-11	12
12.ლევანტე	10	2	6	2	11-13	12
13.ხირონა	10	3	3	4	11-15	12
14.სელტა	10	3	2	5	19-16	11
15.ბილბაო	10	3	2	5	10-12	11
16.დეპორტივო	10	3	2	5	13-19	11
17.ეიბარი	10	2	2	6	5-22	8
18.ლას პალმასი	10	2	0	8	8-25	6
19.მალაგა	10	1	1	8	6-21	4
20.ალავესი	10	1	0	9	4-16	3

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

გრანადა-ლორკა 4:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲛᲔ-2 ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

ბოხუმი-ფორტუნა 0:0

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ა

ვერონა-ინტერი 1:2

ᲡᲐᲢᲣᲩᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ნაპოლი	11	10	1	0	32-8	31
2.ინტერი	11	9	2	0	22-8	29
3.იუვენტუსი	11	9	1	1	33-10	28
4.ლაციო	11	9	1	1	31-12	28
5.რომა	10	8	0	2	17-5	24
6.სამპდორია	10	6	2	2	22-13	20
7.ფიორენტინა	11	5	1	5	19-13	16
8.მილანი	11	5	1	5	16-16	16
9.ტორინო	11	4	4	3	16-18	16
10.ატალანტა	11	4	3	4	18-15	15
11.კიევო	11	4	3	4	14-19	15
12.ბოლონია	11	4	2	5	9-12	14
13.უდინეზე	11	4	0	7	18-22	12
14.კალიარი	11	3	0	8	9-20	9
15.კროტონე	11	2	3	6	8-21	9
16.სპალი	11	2	2	7	9-19	8
17.სასუოლო	11	2	2	7	6-19	8
18.ვერონა	11	1	3	7	7-24	6
19.ჯენოა	11	1	3	7	10-17	6
20.ბენევენტო	11	0	0	11	4-29	0

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ

ტრიესტინა-კარპი 0:0

ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲛᲔ-2 ᲚᲘ�გᲐ

შატორუ-ლანსი 0:0

ᲰᲝᲩᲣᲒᲐᲚᲘᲐ. ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲡᲘ ᲚᲘᲗᲐ

პორტიმორენსე-სეტუბალი 5:2

ᲰᲣᲡᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲡᲘᲚᲘᲗᲐ

უფა-რუბინი 2:1
ახმატი-ანჟი 1:1

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

პაოკი-ასტერასი 2:0

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲗᲐ

ფენერბახჩე-ქაისერი 3:3

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡᲢᲘ

ლეხია-კორონა 0:5

კორონას პირველი და მე-4 გოლი ნიკა კაჭარავამ გაიტანა

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ. ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲡᲘᲚᲘᲗᲐ

ჩერნომორეცი-მარიუპოლი 0:0

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲗᲐ

ბრონდბიუ-რანდერსი 3:1

ᲨᲕᲔᲓᲘᲐ. ᲐᲚᲡᲕᲔᲜᲡᲯᲐ

აიკი-გიოტებორგი 2:1
ნორჩიოპინგი-იორებრო 2:0

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ. ᲔᲚᲘᲢᲡᲔᲠᲘᲐ

ლილესტრიომი-ალესუნდი 4:0

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

აიამ ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგო

აია-ბაგრატი 67:5

სეზონის პირველ ქუთაისურ დერბიში აიამ ბაგრატს 10 ლელო გაუტანა, საპასუხოდ 1 მიიღო და დიდი 10-ის მიმდინარე გათამაშებაში ყველაზე დიდი სხვაობა დააფიქსირა – 67:5.

10 ლელოდან 5 მირიან მოდებაძის ანგარიშზეა, რომელსაც მილთონ ჰეიგმა თიბისი რაგბის სერიებისთვის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში უხმო.

მოდებაძემ ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა: აიამ მეტოქეები რაქში ჩაითრია, მერე ბურთი ხაზზე გაიტანა და მოდებაძემ სივრცე კარგად გამოიყენა. ბაგრატი პირველ ტაიმში კარგად იცავდა თავს და ამ ლელოს შემდეგ მხოლოდ 37-ე წუთზე გაუშვა ჯარიმა.

ტაიმის გაწითლებულ დროზე აიას შეტევა არსენ მაჩალაძემ ლელოთი დაასრულა და ტაიმი 13:0 მოიგო.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბაგრატმა სხვაობა შეამცირა – ლელოში ნუგზარ ბალანჩივაძე შევიდა და მატჩს თითქოს ინტრიგა მისცა, მაგრამ...

ამის შემდეგ მოედანზე მხოლოდ აია იყო, რომელმაც დარჩენილ ნახევარ საათში 8 ლელო გაიტანა. 4 მოდებაძის იყო, ორი ლელოც თედო აბჟანდაძემ მიითვალა, თითოც – გიორგი აბრამიძემ და შოთა არეშიძემ.

სხვათა შორის, აიამ, რომელმაც მიმდინარე გათამაშებაში ყველა მატჩი მოიგო, პირველად აიღო ბონუს ქულა და მაინც, მეტოქეებს ისე უსწრებს, რომ მის ლიდერობას მინიმუმ ერთი ტური არაფერი ემუქრება.

ᲚᲔᲚᲝ ᲡᲐᲰᲐᲡᲔᲜᲡᲘ-ᲑᲐᲗᲣᲛᲘ 28:25

შეცვლაზე შესულმა ვეტერანმა ბორჯღალოსანმა ოთარ ბარკალაიამ ბოლო წუთზე გატანილი არეკნით ტურის ცენტრალურ მატჩში ლელო-სარასენსს ბათუმთან 28:25 მოაგებინა.

მატჩი დაძაბული და კარგი საყურებელი გამოდგა. ევროპული რაგბის კონტინენტის ფარზე მოასპარეზე ზღვისპირელები ახლაც კარგად გამოიყურებოდნენ და გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ დასკვნით წუთებში 6 ქულა მიიღეს და მხოლოდ სატურნირო ბონუსს დასჯერდნენ.

ბათუმმა თამაში აქტიურად დაიწყო და ლელოს გატანა დებიუტშივე შეეძლო, მაგრამ არ გამოუვიდათ, თუმცა მე-14 წუთზე ანგარიში მაინც გახსნეს – რაქიდან ბურთი ლელოს აღზრდილმა სანდრო ქოიავამ აიტაცა და ლელოს ლელოში გადაწვა – 0:5.

ტაიმის შუაში სტუმრები დაჯარიმდნენ და ირაკლი ყიასაშვილმა ჯარიმა გაიტანა – 3:5. ბათუმი შერკინებაში დიდ უპირატესობას ფლობდა და 31-ე წუთზე ამით ისარგებლა. 5-მეტრიან შერკინებაში მასპინძლები ზედიზედ ორჯერ დაჯარიმდნენ და ტექნიკური ლელოთი დაისაჯნენ – 3:12.

ტაიმის დასკვნით 10 წუთში ზღვისპირელები დისციპლინამ დააღალატა და ყიასაშვილმა 3 ჯარიმით წონასწორობა აღადგინა – 12:12.

გარდა ამისა, სტუმართა გარემარბი ტუჩაშვილი და კვაჭი ბექა მამრიკიშვილი სინბინით დაისაჯნენ და „ბათუმი“ მოედანზე 7 წუთით 13 კაცის ამარა დარჩა.

ლელო-სარასენსმა რიცხობრივი უპირატესობა ქულებში მეორე ტაიმის დებიუტში ასახა. ბათუმელებმა დაცვა ვერ დააწყვეს და ბექა მამუკაშვილი ძელებშუა გაძვრა. ყიასაშვილმა გარდასახა და მასპინძლები 19:12 დაწინაურდნენ.

ჩამორჩენილმა ბათუმმა ჯარიმის კარში დარტყმას ლელოზე თამაში არჩია და არც შემცდარა. 52-ე წუთზე, როდესაც სტუმრები მოედანზე სრული შემადგენლობით იყვნენ, მათ 5-მეტრა შერკინებაში მეტოქე კიდევ ერთხელ დაჯაბნეს და საჯარიმო ლელო მეორედ გამომუშავეს. ამას ლელოელი ნიკა სვიმონიშვილი სინბინიც მოჰყვა.

ტაიმის შუაში კობახიძემ და ყიასაშვილმა ჯარიმები გაცვალეს. საყაიმო ანგარიში 75-ე წუთამდე შენარჩუნდა. მერე კობახიძემ ცენტრიდან გატანილი ჯარიმით ბათუმი ერთხელაც დააწინაურა, ყიასაშვილმაც არ დაახანა და 2 წუთში უპასუხა, ბოლო შეტევისას კი ბარკალაიამ 25 მეტრიდან არეკნი გაიტანა და ლელო-სარასენსს მოაგებინა.

ᲡᲰᲘᲛᲘᲐ-ᲮᲐᲩᲝᲑᲘ 16:28

რუსთავის ხარებმა სამკვირიანი შესვენება კარგად გამოიყენა და ბოლო 2 ტურში განცდილი მარცხის შემდეგ, ჩემპიონატში გამარჯვებით დაბრუნდა.

არმიამ მხოლოდ ერთხელ, მცირე ხნით მოახერხა დაწინაურება. სტუმრებმა მეტოქეს ხელდახელ თამაშში აჯობეს, დასკვნით 10 წუთში ორი ლელო გაუტანეს და 28:16 იმარჯვეს.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ-ᲯᲘᲥᲘ 18:19

ქვეყნის ჩემპიონმა გორის ჯიქმა აკადემიას დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით აჯობა.

გორელებმა მინიმალური სხვაობით გამარჯვების მიუხედავად, 3 უპასუხო ლელოსთვის ბონუს-ქულაც მიიღეს და მე-4 ადგილზე არიან, აკადემია კი მიმდინარე სეზონში მეშვიდედ დამარცხდა, თუმცა კვლავ შეძლო ნუგეშის ქულის აღება და ბოლოსწინა ადგილზე რჩება.

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ-ᲮᲘᲛᲐᲮᲘ 45:25

მარნეულის არმაზმა ლოკომოტივს პირველი ტაიმი 13:10 მოუგო და საათის თავზე ლიდერობას ინარჩუნებდა, მაგრამ დასკვნით მეოთხედში 4 ლელო გაუშვა და 25:45 დამარცხდა. რკინიგზელებმა 3 ლელო მიიღეს, პასუხად კი 7 გაიტანეს ბონუსიც აიღეს.

ჯოშუა კიმიხი: „მინდა, საკუთარი გზა მქონდეს“

მიუნხენის ბაიერნში ჯოშუა კიმიხი მოთხოვნადი ფიგურაა: მიმდინარე სეზონში ყველა, 15-ვე მატჩში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 13-ში მთლიანი მატჩი ჩაატარა. 22 წლის ფეხბურთელი გერმანიის ნაკრებშიც არ დაკარგულა, სეზონის დასაწყისიდანვე ფილიპ ლამი ჩაანაცვლა დაცვის მარჯვენა ფლანგზე და აგრძელებს ამ პოზიციაზე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად დარჩენას.

გერმანულ მედიასთან მიცემულ ინტერვიუში ჯოშუა მიმდინარე სეზონზე, თავის დამოკიდებულებაზე, ლამის მემკვიდრედ ყოფნასა და მოულოდნელ შეტევით პოტენციალზე ყვება. ასევე ინტერვიუში ფეხბურთელის სამშობლოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ლაიფციგში გატარებულ 2 წელიწადსა და მიუნხენში პირველ თვეებზე, როდესაც ის დასთან ერთად ცხოვრობდა ქალაქში.

– სელტიკთან გამარჯვების შემდეგ ძალიან გაბრაზდი? ამ სეზონში შენ პირველად შეგცვალეს.

– ნორმალურია, როდესაც 10 წუთით ნაკლებს ვთამაშობ. ჩვენ ხომ ანგარიში 3:0 მიგვყავდა და თამაშის მე-2 ტაიმში მეც შევამჩნიე, რომ ფეხები დამეღალა. ყოველ მე-3 დღეს თამაში, ეს ჩემთვის ახალი რიტმია. ამას დამატებული კიდევ ნაკრების თამაშებიც არის გასათვალისწინებელი. მთლიანობაში ბოლო დროს საკმაოდ ბევრი მატჩი ჩავატარე.

– როდესაც მოედნიდან გადიოდი, გულშემატკივრები ფეხზე ადგნენ და აპლოდისმენტებით დაგაჯილდოვეს. გრძნობდი ამას მოედანზე?

– ეს შესამჩნევი იყო. როდესაც იგებ, შეცვლის დროს ხალხი აპლოდისმენტებს არ იშურებს და ეს შესანიშნავი გრძნობაა. გრძნობ, რომ გულშემატკივრები კმაყოფილნი არიან.

– ბაიერნის გულშემატკივრებმა თვის საუკეთესო ფეხბურთელად აგირჩიეს, უეფამ კი სელტიკთან თამაშში – მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად. რას ნიშნავს შენთვის ეს ჯილდოები?

– ასეთი შეფასებები მშვენიერია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ შეიძლება გუნდს კარგი თამაშით დაეხმარო, შესაძლოა გოლითაც ან საგოლე პასით. ამავე დროს ეს სტიმულიცაა, რომ მუშაობა გააგრძელო და შენი დონე დაამტკიცო.

– როგორც კი ფილიპ ლამმა განაცხადა კარიერის დასრულების შესახებ, მაშინვე გამოგაცხადეს მის მემკვიდრედ. როგორი დამოკიდებულება გაქვს ამ მოლოდინთან?

– ამას ჯერ კიდევ ნაკრებში შევეჯახე. ამიტომ ვიცოდი, რომ შედარებები იქნებოდა. ერთის მხრივ, ეს მე მახარებს, მეორე მხრივ, თავიდანვე ცნობილი იყო ჩემთვის, რომ მისი მთლიანად შეცვლა ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა. ლამი კაპიტანი გახლდათ, უამრავი მაღალი დონის თამაში აქვს ჩატარებული და ყოველთვის დემონსტრირებდა თავის კლასს. მე ახლა 22 წლის ვარ და მისგან ბევრ რამეს ვისწავლიდი, მაგრამ ვისურვებდი, რომ ჩემი საკუთარი გზა მქონდეს.

– ლამის გარდა, არსებობენ კიდევ მარჯვენა მცველები, რომლებისგანაც რამეს ისწავლიდი?

– რა თქმა უნდა. მაგალითად, დანი ალვეში, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მთლიანად მარჯვენა მცველების თამაშზე, მისი ბურთზე ბრძოლის მისწრაფებით და გამამწვავებელი შერბენებით მეტოქის საჯარიმოში. დანი კარვახალიც მომწონს.

– შენს ჯერ კიდევ მოკლე კარიერაში უკვე მოასწარი რამდენიმე პოზიციაზე თამაში: მარჯვენა მცველი,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დავით ადამაშვილი პოლონეთში 30.000 ევროს მოსაპოვებლად იბრძვის

ქართველი მომღერალი დავით ადამაშვილი პოლონურ „ვოისში“ მონაწილეობს. მან ყველა წინაშესარჩევი ტური წარმატებით გაიარა და უკვე რინგებშიც წარმატებით ებრძვის კონკურენტებს. დავითს შანსი გაუჩნდა, რომ 30.000 ევროს დაფინანსება მოიპოვოს.

დავით ადამაშვილი:

– გამარჯობა, მეგობრებო, თქვენი დახმარებით შანსი მაქვს, რომ 30.000 ევროს დაფინანსება მივიღო ჩემი მუსიკის პრომოუშენისთვის პოლონეთში. ეს ნიშნავს, რომ ბევრი რამე შეიძლება შეიცვალოს ჩემს მუსიკალურ კარიერაში და უფრო გლობალური გახდეს ყველაფერი. პოლონური „ვოისის“ საიტზე შეგიძლიათ გადახვიდეთ და ქვემოთ ჩემს პერფორმანსს ხმა მისცეთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შატილში ჩამოშლილ კოშკს საფრთხე აღარ ემუქრება

შატილში მიმდინარე წლის ზაფხულში ჩამოშლილ მეექვსე კოშკს საფრთხე აღარ ემუქრება.

კოშკის სრულ რეაბილიტაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მომდევნო წელს დაასრულებს. სააგენტოს მიერ დაფინანსებული აღდგენითი სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში, დაზიანებული კოშკი მთლიანად გაიწმინდა ნაშალი ქვისა და ჩახერგილობისაგან. რესტავრატორების მიერ დაიშლა კოშკის დაზიანებული კედელი, ჩამოყრილი ქვები კი გადაირჩა და დასაწყობდა. გაწმენდილ სამუშაო ადგილზე მოეწყო სახურავის დროებით დამჭერი ხის სივრცული ძალოვანი ხარაჩო, რომელიც კოშკის სახურავს და მის შენარჩუნებულ კედლის წყობას ზამთრის განმავლობაში კონსტრუქციული რეგრესისგან დაიცავს. ნადენი წყლისგან დაზიანებული საძირკვლის გრუნტი დამუშავდა, სადაც მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკველი მოეწყო.

ჩამოშლილი კედლის აღდგენის სამუშაოებს კონტრაქტორი ფირმის სპეციალისტები მომდევნო გაზაფხულიდან განაგრძობენ. კოშკის დაზიანებული ფასადი კვლავ ავთენტური ფიქლის ქვის მშრალი წყობით აღდგება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

აზარტულ თამაშში მონაწილეობის ასაკობრივი ცენზი 21 წლამდე იზრდება

საქართველოს მოქალაქისთვის აზარტულ თამაშში მონაწილეობის ასაკობრივი ცენზი 21 წლამდე იზრდება. შესაბამისი ცვლილება „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში შედის. კანონპროექტში ცვლილებების განხორციელების ინიციატორი ფინანსთა სამინისტროა და ინიცირებული ვარიანტი პარლამენტში 20 ოქტომბერს შევიდა.

– ინტერნეტით მომგებიანი თამაშობის გამართვის შემთხვევაში, ვებგვერდზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ინფორმაცია 21 წლამდე საქართველოს მოქალაქის ან 18 წლამდე უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ, ნებართვის ნომერი და ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა“-„ვ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, – აღნიშნულია კანონპროექტის ინიცირებულ ვარიანტში.

ყვითელაშვილის მორიგი მედალი

ფიგურული სრიალის ახალი სეზონის მიმართ ინტერესს კიდევ უფრო ზრდის 2018 წლის ზამთრის მოახლოებული ოლიმპიური თამაშები, რომელიც 9-25 თებერვალს გაიმართება სამხრეთ კორეის ქალაქ პიონგჩანგში. ოთხწლეულის ამ ყველაზე საპასუხისმგებლო სტარტის წინ სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ ფიგურული სრიალის საერთაშორისო კავშირის ეგიდით ორგანიზებულ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში.

ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში გაიმართა ტურნირი, რომელშიც ახალი პროგრამები წარმოადგინეს ქართველმა მოციგურავეებმა, სენიორთა კატეგორიაში მორის ყვითელაშვილმა და იუნიორთა შორის – ირაკლი მაისურაძემ.

ქართველი სპორტსმენები ასპარეზობდნენ ისეთ სახელოვან სპორტსმენებთან ერთად, როგორებიც არიან სენიორთა კატეგორიაში 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი ებრაელი მოციგურავე ალექსეი ბიჩენკო, გერმანიის ჩემპიონი და 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის საუკეთესო ათეულის წევრი პეტერ ლიებერსი, იტალიის ჩემპიონი ივან რიგინი, ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს მედლის მფლობელი სერგეი ვორონოვი.

ქართველმა მოციგურავემ მორის ყვითელაშვილმა საკმაოდ დამაჯერებლად იასპარეზა, როგორც მოკლე ასევე თავისუფალ პროგრამებში და 12 ქვეყნის 17 სპორტსმენს შორის 227,31 ქულით მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ეს მორისის მეორე წარმატებული გამოსვლაა მოსკოვში გამართული გრანპრის ტურნირის შემდეგ და საკმაოდ სერიოზული განაცხადია ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების წინ.

ასევე მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა იუნიორთა შორის ქართველმა მოციგურავე ირაკლი მაისურაძემ, რომლისთვისაც ეს წარმატება საკმაოდ მაღალი შედეგი იყო ასეთი რანგის საერთაშორისო ტურნირზე.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ჯოშუა კიმიხი: „მინდა, საკუთარი გზა მქონდეს“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

6-იანის პოზიცია, მარჯვენა ნახევარმცველი, ცენტრალური მცველი.... სად ხედავ შენს თავს მომავალში?

– 4 წლის წინ ლაიფციგში ჩემთვის ეს კითხვა რომ დაესვათ, ვიტყოდი: რა თქმა უნდა, 6-იანის პოზიციაზე. როგორც კი ბაიერნში მოვხვდი, ცენტრალური მცველის პოზიციაზე მომიწია თამაში. კიდევ ერთი წლის შემდეგ კი გერმანიის ნაკრებში მარჯვენა მცველის პოზიციაზე. ვფიქრობ, რომ უკვე ვფლობ საჭირო ცოდნას, იმისათვის, რომ სხვადასხვა პოზიციებზე ვითამაშო. თუმცა, მინდა ოდესმე დარწმუნებული ვიყო იმაში, რომ არსებობს გარკვეული „კიმიხის პოზიცია“.

– როგორც კი მიუნხენში გადმოხვედი, შენს დასთან ერთად ორგანიზაცია გაუკეთე საერთო საცხოვრებელს.

– უკვე აღარ გვაქვს საერთო ბინა. ჩემი და განათლებას იღებს, ამიტომ ის ხშირადაა გავლით მიუნხენში, ახლა მას ამისთვის თავისი საკუთარი პატარა ბინა აქვს. მაგრამ თავიდან ჩვენთვის ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ სახლში ვიღაც უნდა ყოფილიყო, რომელსაც ვენდობოდით. ახალ, ჩვენთვის უცხო ქალაქში საკუთარი ოჯახური კუთხე გამოჩნდა. ეს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ.

– როგორ ნაწილდებოდა ოჯახური მოვალეობები?

– ვიტყოდი, რომ კლასიკურად. სარეცხი ნამდვილად არაა ჩემი. ადრე ხშირად მიმქონდა ტანსაცმელი გასარეცხად დედასთან სახლში. ახლა ჩემი მეგობარი გოგონაა ამით დაკავებული. სამაგიეროდ, მთლიანობაში სისუფთავეზე ვზრუნავ და მტვერსასრუტითაც ვეხმარები. ამაში უფრო გამოცდილი ვარ. ასე გამზარდეს მშობლებმა, შემდეგ კი შტუტგარტში, სადაც ჩვენი ოთახები ჩვენვე უნდა დაგველაგებინა.

– ლაიფციგში იუსუფ პოულსენთან ერთად ცხოვრობდი ერთ ოთახში. კიდევ ურთიერთობთ ერთმანეთთან?

– რა თქმა უნდა. რაც არ უნდა იყოს, 2 წელი ერთად ვცხოვრობდით და კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

– შენი მშობლიური გუნდის (ბეზინგენი) თამაშებს რეგულარულად ესწრები. ეს რაღაც გამონაკლისია შენთვის?

– არა. ეს ხომ ჩემი სახლია. ყველაზე ხშირად მშობლებთან კვირა დღეს მივემგზავრები და ყოველთვის არის რაღაც თამაში, სადაც ერთ-ერთი ჩემი მეგობარი მაინც თამაშობს. ბეზინგენს 3 მოზრდილი გუნდი ჰყავს და ჩემი მეგობრები ამ გუნდებში გადანაწილებულნი არიან. ზოგი რეგიონალ ლიგაში თამაშობს პირველ გუნდთან ერთად, უმეტესობა მეორე გუნდშია და კიდევ რამოდენიმე – მესამე გუნდში. მე უბრალოდ მომწონს ჩემი მეგობრების თამაშის ყურება და იმის შეგრძნება, რომ როცა შემიძლია, მე ყოველთვის მათთან ვარ.

– არის რაიმე რჩევები ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელისგან?

– არანაირად. მათ ჩემი აზრი თამაშის დროს ესმით, როდესაც ტრიბუნებიდან გავყვირივარ. თუ ყველაფერი კარგად მიდის, არაფრის თქმა არ მჭირდება, რადგან ისინი თავის ქებით არიან დაკავებულნი. ერთი ჩემი მეგობარი მეორე გუნდის კაპიტანია და ამ ბოლო დროს გოლების გატანა დაიწყო, შემდეგ მითხრა – 10 გოლი 10 მატჩში, შეგიძლია რამდენიმე წაიღო, თუ სურვილი გაქვსო.

ასტროპროგნოზი

1 ნოემბერი

ვერძი – თვითკონტროლს ნუ დაკარგავთ. სითამამე წარმატებას მოგიტანთ. **კურო** – საიდუმლო არავის გაანდოთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებს. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობა გაამართლებს. საღამო საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითად დატვირთული დღეა. ნუ იქნებით ზედაპირული. **ლომი** – სიტუაციის არაადეკვატური შეფასება მატერიალურად დაგაზარალებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები გელით. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. სიტუაციას ნუ დაძაბავთ. **სასწორი** – სხვის აზრს ნუ გაითვალისწინებთ. გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ. **ღრიანკალი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს. ავანტიურაში არ ჩაერთოთ. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. იყავით დამთმობი. **მერწყული** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაუცხოებას გრძნობთ. მოთმინება დღის დევიზია. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 2. მრგვალი წითელი ფერის შავწინწკლებიანი მწერი; 3. ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო ავტომობილებში; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ერაყის ნავსადგური სპარსეთის ყურეში; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 9. არაკეთილხმოვანება მუსიკაში; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. თაღლითი ბანქოს თამაშში; 16. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

თარაზულად: 1. თამარ მეფის დედის სახელი; 6. ფინური ხალხური ეპოსი; 7. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 9. გულზე საკიდი ქალის სამკაული; 10. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 11. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 13. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 15. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი კურდღელი; 18. სოფელი ლანჩხუთის რაიონში; 19. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 20. ორცოლიანობა, ორქმრიანობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იორდანია; 2. რამლი; 3. ბრუკლინი; 4. ქაშერი; 7. „სქური“; 9. თრუსო; 12. არმსტრონგი; 14. შირაქი; 15. ისტმენი; 17. „ფორნებუ“; 20. ფიალა.

თარაზულად: 5. პოტომაკი; 6. ტერტერა; 8. ქულბაქი; 10. ბოროდინი; 11. „ფიგარო“; 13. ოპიზარი; 16. ფონეტიკა; 18. კოქტო; 19. ატენი; 21. პიექსი; 22. ანსამბლი; 23. ათაბაგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დეკანი; 2. ტილი; 3. ალგორითმი; 4. ენდრო; 5. ხორშაკი; 8. თექურა; 9. თითლიბაზი; 12. პრაიდი; 14. როსინი; 16. იპონი.

თარაზულად: 1. „დეპორტივო“; 6. ფლამინგო; 7. კნეთელი; 9. თაგორი; 10. სოდა; 11. ბურნუთი; 13. „ჰერში“; 15. გრაალი; 17. სინდისი; 18. „მიმინო“; 19. ავანსი; 20. ფიდიასი.

აზარტულ თამაშებს შემოსავლების სამსახურიც ვერ აკონტროლებს

სათამაშო ბიზნესში არსებული ხარვეზები, დიდი მოგების ფონზე ბიუჯეტში გადახდილი მიზერული თანხა, სოციალური პრობლემები, რომელსაც ეს ბიზნესი ქმნის, არაერთხელ გამხდარა „ბანკები და ფინანსების“ პუბლიკაციების თემა.

მრავალჯერ ითქვა და დაიწერა, რომ სექტორში უამრავი პრობლემა არსებობს, თუმცა, მიუხედავად უამრავი დაპირებისა, სახელმწიფოს მხრიდან არანაირი რეაგირება არ ჩანს. თემა რომ პრობლემურია, ამას ცხადყოფს შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადებული პროექტი, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ შემოსავლების სამსახურს არ გააჩნია არანაირი ბერკეტი სრულყოფილი კონტროლისთვის.

როგორც პროექტშია აღნიშნული, შემოსავლების სამსახურს სათამაშო ბიზნესის სფეროში სრულყოფილი კონტროლის განხორციელების მიზნით, ესაჭიროება ინფორმაცია თითოეულ სათამაშო აპარატში შესული და გასული თანხების შესახებ, სათამაშო აპარატის მოგების გაცემის პროცენტის ოდენობის შესახებ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული თამაშობის შემთხვევაში, ტრანზაქციების ისტორიის შესახებ, ტოტალიზატორის შემთხვევაში, ყველა დადებული ბილეთის ისტორიის სისწორის შესახებ ინფორმაცია და ფიზიკურად მოწყობილი სამორინეს შემთხვევაში სალაროში და თითოეულ მაგიდაზე შესული/გასული თანხების/ჟეტონების შესახებ.

მიზანი გასაგებია, თუმცა აქ სხვა რამე მნიშვნელოვანი შემოსავლების სამსახურმა ფაქტობრივად აღიარა, რომ დღემდე ვერ ხერხდება სათამაშო ბიზნესის სრული კონტროლი და ბიზნესი, რომელიც მილიონობით შემოსავალს იღებს, საკუთარ ნებაზეა მიშვებული. გთავაზობთ ციტატას შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადებული პროექტიდან: „არსებული მდგომარეობით, შემოსავლების სამსახურს არ გააჩნია ბერკეტი დააწესოს და განახორციელოს სრულყოფილი კონტროლი გადასახადების გადახდის და სანებართვო პირობების შესრულებაზე, ვინაიდან არ გააჩნია კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია“. ანუ ის, რაზეც „ბანკები და ფინანსები“ წლების განმავლობაში წერდა, რაზეც ექსპერტები მუდმივად საუბრობდნენ, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას მიუთითებდნენ, ახლა უკვე შემოსავლების სამსახურმაც ღიად დაადასტურა.

თუმცა, დადასტურება ერთია, ხოლო შესაბამისი რეაგირების მოხდენა – მეორე და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხი. იმედია, ახლა მაინც მოექცევა შესაბამისი ყურადღება ხელისუფლების მხრიდან სათამაშო ბიზნესსექტორს და გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესსექტორის რეგულირებისთვის.

საბოლოო ჯამში დეტალურად არავინ იცის, თუ რა თანხები ბრუნავს ამ სექტორში და ეს შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადებულ პროექტშიც კარგად ჩანს, თუმცა, იმავე შემოსავლების სამსახურის მიერ მომზადებული ოფიციალური პრეზენტაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სათამაშო ბიზნესსექტორის ბრუნვამ 2016 წელს 4 მილიარდ 302 მილიონი ლარი შეადგინა – რაც საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვია. პრეზენტაციაში არ ჩანს სექტორის მოგება, თუმცა, თუ მოგების გადასახადის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელიც 600 მილიონია და სრული მოგების 15%-ია, გამოდის, რომ 2016 წელს, გადასახადების გადახდამდე აზარტული თამაშების მთლიანმა მოგებამ 400 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგებამ 340 მილიონი. სწორედ ეს არის მოგების ის მაჩვენებელი, რაც სექტორის უკონტროლობის პირობებში შემოსავლების სამსახურს გააჩნია.

ამჟამად აზარტული თამაშების ბაზარზე 138 კომპანიაა წარმოდგენილი, რომლითაც ჯამში 2016 წელს საბიუჯეტო გადასახადების სახით გადახდილი აქვთ 110 მილიონი ლარი, ხოლო სექტორში დასაქმებულია 7265 ადამიანი.

რაც შეეხება 2017 წელს, იანვარ-მარტში აზარტული თამაშების ბრუნვამ შეადგინა 16 მილიარდ 845 მილიონი ლარი, ხოლო გადასახადის გადახდამდე მოგებამ 206 მილიონი ლარი. გადასახადების სახით ბიუჯეტში შემოსულია 55 მილიონი. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს აზარტულ თამაშებზე მოსაკრებელი გაიზარდა და შესაბამისად მეტი თანხებია ბიუჯეტშიც გადახდილი, თუმცა, ამავდროულად, საკმაოდ გაზრდილია მოგების მაჩვენებელიც.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ითქვა, რომ აზარტული თამაშები ქვეყანაში მწვავე სოციალურ პრობლემებს იწვევდა და აუცილებელი იყო სექტორის რეგულირება. თუმცა, მას შემდეგ უკვე 5 წელი გავიდა და კანონპროექტი დღემდე ვერ მომზადდა. იყო რამდენიმე მცდელობა, თუმცა, ყოველი მცდელობა კრახით დამთავრდა და სათამაშო ბიზნესი დღემდე უკონტროლო სფეროდ რჩება.

რამდენიმე თვის წინაც პარლამენტში, თითქოს, აქტიურად დაიწყო სათამაშო ბიზნესის რეგულირებისთვის კანონპროექტის მომზადებაზე მუშაობა. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შემოსავლების სამსახურს უნდა მოემზადებინა და სექტორის რეგულირებაც 2018 წლიდან დაწყებულიყო, თუმცა, მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და საკითხიც ყველამ მიივიწყა. როგორც ჩანს, აზარტული თამაშების ლობმა ამჯერადაც გაიმარჯვა და ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი ბიზნესი კვლავ ყოველგვარ კონტროლს მიღმა რჩება, რის შედეგადაც ბიუჯეტი კარგავს უზარმაზარ შემოსავლებს, ქვეყანაში კი სოციალური ფონი სულ უფრო მძიმდება.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, კოოპერატივების მიერ წარმოებულმა პროდუქციამ იმპორტი ჩაანაცვლოს“

2018 წლის ბიუჯეტში კოოპერატივების განვითარების სააგენტოს დაფინანსება 7 მილიონ 750 ათას ლარამდე იზრდება. სად და რა მიმართულებებზე დაიხარჯება ეს თანხა, როგორი იყო გასული წელი და რა პროექტების განხორციელება იგეგმება სამომავლოდ? ამის შესახებ ტელეკომპანია „იბერიის“ გადაცემა „ბიზნესკოდში“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე საუბრობს.

– მიმდინარეობს სახელმწიფო პროექტი მაღალმთიან რეგიონებში სათიბ-საძოვრების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე რეგისტრაცია თქვენი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზეა შესაძლებელი. რა ბენეფიტებს აძლევს პოტენციურ ბენეფიციარებს ამ პროექტში მონაწილეობის მიღება?

– პროექტი წელს დავიწყეთ და მას საქართველოს მთავრობის მიერ მაისში მოეწერა ხელი. რეგისტრაცია ამჟამად უკვე მიმდინარეობს და ის 3 ნოემბერს დასრულდება. იმ კოოპერატივში გაწევრიანებულ ფერმერებს, ვინც მესაქონლეობას ეწევა, ადგილზევე მიეცემათ შესაძლებლობა, რომ მაღალმთიან რეგიონში ის სათიბ საძოვრები მიიღონ, რომლებიც საკუთარ მუნიციპალიტეტში ექნებათ და შესაბამისად, საკვებ ბაზას დაამზადებენ. მათ საკმაოდ დიდი რაოდენობით მიწები 25-წლიანი იჯარით გადაეცემათ. თუ რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სათიბ-საძოვრების რაოდენობა ამის შესაძლებლობას იძლევა.

იმისათვის, რომ კოოპერატივი პროექტში ჩაერთოს, მინიმუმ ერთი ჰექტარი საძოვარი მაინც უნდა იყოს მუნიციპალიტეტში, ან ნახევარი ჰექტარი სათიბი. ამის მერე მათ შეუძლიათ პროექტში ჩაერთონ, ხოლო პროექტში ჩართვის შემდგომ მიწასთან ერთად სახელმწიფოსგან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (ტრაქტორი, სათიბი, თივის გადასატანი მოწყობილობა, გუთანი, პრესი და ფოცხი) გადაეცემათ. აღნიშნული ტექნიკა თანადაფინანსების სახით გადაეცემა. მთლიანი ღირებულების 10%-ს პროგრამაში ჩართული კოოპერატივი გადაიხდის, ხოლო 90%-ის ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მოხდება.

– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაძლიერების პროგრამა 2015 წლიდან ხორციელდება. ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენ შემაჯამებელი ღონისძიება გქონდათ. ამჟამად არსებული მონაცემებით რა შედეგები გაქვთ და რა არის ის ძირითადი მიმართულებები, რაზეც სააგენტო აქტიურად მუშაობს?

– 2015 წელს ჩვენი პირველი პროექტი მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის აღჭურვის პროგრამა იყო. მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამაში 200-მდე კოოპერატივი ჩაერთო. მათ საკმაოდ დიდი რაოდენობის სკები და სხვადასხვა აღჭურვილობა მიიღეს. ამის საფუძველზე მათ უკვე აქვთ შესაძლებლობა, რომ დიდი რაოდენობის ერთგვაროვანი პროდუქტი აწარმოონ. წელს უკვე დაიწყო ახალი პროექტი მეფუტკრეებისათვის, ეს თაფლის გადასამუშავებელი საწარმოს პროგრამაა, რომლის ფარგლებშიც ერთიანი თაფლის მძლავრი გადამამუშავებელი ქარხანა აშენდება. ამას ჩვენი სააგენტო უზრუნველყოფს და მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადასცემს, რომელშიც მინიმუმ 35 კოოპერატივი იქნება გაერთიანებული და მინიმუმ 8.000 სკა ექნებათ.

ასეთი მძლავრი კოოპერატივების გაერთიანებას ერთგვაროვანი პროდუქტის გადამუშავების შესაძლებლობა, დაფასოება, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და უკვე საერთაშორისო ბაზარზე წარმოებული პროდუქციის გატანის შესაძლებლობა მიეცემათ, ანუ მეფუტკრეობაში სრული ციკლი იქნება განხორციელებული.

პარალელურ რეჟიმში სააგენტო რძის გადამამუშავებელი პროგრამის ხელშეწყობას ახორციელებს. პროგრამა 2016 წელს დაიწყო და მის ფარგლებში მცირე რძის გადამამუშავებელი საწარმოები შეიქმნა. ჩვენი მთავარი ამოცანა არის ის, რომ კოოპერატივების მიერ წარმოებულმა პროდუქციამ ბაზარზე ადგილი დაიმკვიდროს და შესაბამისად, ჩავანაცვლოთ იმპორტირებული პროდუქტი. ამ პროგრამის ფარგლებში წელს კიდევ 12 პროექტი დაფინანსდება. ეს პროექტი მომავალ წელსაც გაგრძელდება. ეს იქნება საერთაშორისო სტანდარტებისა და ბრენდირების პროგრამა.

– კახეთში ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების კოოპერატივები იქმნება. ამ შემთხვევაში რა ბენეფიტებს მიიღებენ ეს მეწარმე სუბიექტები?

– ამ დრომდე სახელმწიფო სუბსიდირებას ახდენდა მევენახეების ყურძნის რეალიზაციის დროს. წელს ეს უკვე მოიხსნა და მევენახეებს შესაძლებლობა მივეცით, რომ კოოპერატივების ფარგლებში გაერთიანების შემთხვევაში არა მხოლოდ ყურძნის რეალიზებით მიიღებენ შემოსავალს, არამედ საკუთარი ყურძნიდან დაწურული ღვინით. აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამა წელს პირველად დაიწყო და კახეთში უკვე სამი საწარმო დაფინანსდა.

პროგრამის ფარგლებში მათ შესაძლებლობა მიეცათ, რომ ყურძნის მიღებიდან მის ჩამოსხმამდე სრული აღჭურვილობა სახელმწიფოსგან მიიღონ. გარკვეული კაპიტალი მათაც უნდა გააჩნდეთ, რადგან თანამონაწილეობის გარეშე არცერთი სახელმწიფო პროგრამა არ იქნება.

წელსვე ბევრმა ფერმერულმა ჯგუფმა განაცხადების შეტანის სურვილი გამოთქვა. მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ მიუხედავად ბიუჯეტის ზრდისა, ის მაინც არასაკმარისია.

„აზიური ფაროსანა ადამიანის, ცხოველისა და ფრინველისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს“

სურსათის ეროვნული სააგენტო აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, სადაც კიდევ ერთხელ არის განმარტებული, რომ ფაროსანა არც ადამიანისა და არც ცხოველის/ფრინველის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

– აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსახლეობის მხრიდან გამოჩენილი განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, სურსათის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ აზიური ფაროსანა არ წარმოადგენს საფრთხეს არც ადამიანისა და არც ცხოველის/ფრინველის ჯანმრთელობისთვის. მავნებელს არ გადააქვს დაავადებები და ცხოველის/ფრინველის მიერ საკვებად მიღების შემთხვევაში არ არის მომწამვლელი. ცილებით მდიდარი მწერების – კალიის, ხოჭოს, პეპელას მსგავსად, აზიურ ფაროსანასაც ეტანებიან ფრინველები. როგორც ცნობილია, აზიურ ფაროსანას აქვს დამცავი მექანიზმი – იგი სპეციფიკურ სუნს უშვებს. არ არსებობს დადასტურებული კვლევა, რომ ცხოველის/ფრინველის მიერ საკვებად მიღების შემთხვევაში, აღნიშნული სპეციფიკური სუნი ხორცის საგემოვნო თვისებებზე აისახება, თუმცა, ხშირად უსიამოვნო ფსიქოლოგიურ განწყობას ქმნის.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ასეთი ფსიქოლოგიური განწყობა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სპეციალიზებულ ფერმებში არსებული სტანდარტი, რაც გულისხმობს მოცდის პერიოდს და ცხოველის/ფრინველის დაკვლამდე 10 დღით ადრე საკვები დანამატების (მაგ., თევზის ფქვილი) კვების რაციონიდან ამოღებას, – აღნიშნულია სეს-ის განცხადებაში.

პროგრამა

ოთხშაბათი
1 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15, 03.00** ტ/სერ. "**ჩეინტო ჟეტრინე**" **10.00, 02.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი - წინასწარიშეკვეთის გარეშე" **13.30, 21.00** ტ/სერ. "**სახელმწიფო ჟდიკანი**" **14.30** ქართ" დოკუმენტალისტიკა **15.00, 04.00** დოკ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" **16.15, 05.00** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **17.15** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.35** "სპორტის დაფა" **22.00** მხ/ფ "**სწრაფი და მკვდარი**" (რ.ქროუ) **23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის მატჩი **01.35**ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდგომი გადაცემა **06.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.00** დოკ/ფ "გონების თამაშები"

06.30, 16.00 სერ. "**ბუუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოაარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** პრაიმშოუ **23.30** მხ/ფ "**ანგელოზები: სიყვარულის ამბავი**" **01.30** მხ/ფ "**ზღვისპირა ქალაქი**" **03.30** მხ/ფ "**ერთადერთი გზა**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამიწელი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** კომედი შოუ **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv ეროვნული **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 23.00** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** პოლიტმერტი **23.30** ღალატი

08.00 ან/ფ "ავატარი 3" **09.00, 19.00** სერ. სერ. "**ცისფერი სისხლი-4**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-4**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **5-6-7-8 17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები-2**" **21.00** სერ. "**სპირალი 5**" **22.30** მხ/ფ "**ქალების შემგროვებელი**" **00.45** მხ/ფ "**ბზარი**" **02.45** მხ/ფ "**გაბასცება სამოც წამში**" **04.50** მხ/ფ "**გიჟური რგოლა**" **06.35** მხ/ფ "**გაქცევა**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ინტერვიუ ვანიჩკასთან **00.00** მხ/ფ "**გაყოფილი წამი**" **3.40** ცენზურის გარეშე

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.15** ქრისტიანული ხელოვნება "ახალი აღთქმის კრეტსაბმელი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ეთიოპია" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ეპოქა და ადამიანები "ლევან თედიაშვილი" **12.05** ღია აუდიტორია **12.50** გაცოცხლებული წარსული "ქალგული" **13.30** ან/ფ "ბოლტო" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი" **16.05** კონცერტი **17.15** ერთსულოვანი ოჯახი "ბურჯალიანები" **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** ივერიის ეკლესია "ეკლესია და ბაგრატიონები" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**ზღიარული რომანი**" **20.35** ძილი ნებისა "იესო ქრისშხალს აცხრობს" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქვიშით ნაამბობი **21.35** ეპოქის სახელები **22.20** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**პეიტარი**" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** კონცერტი

მაესტრო **10.00 - 23.30** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.5873	ევრო — 3.0106
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4062	100 რუსული რუბლი — 4.4788

ამინდის პროგნოზი 1 ნოემბრისთვის



26 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნაწილი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ცისნამ საყვარლიშვილს „მის ქველმოქმედის“ ტიტული ჩამოართვეს

ორი დღის წინ ამერიკაში გამართულ საერთაშორისო კონკურსში ქართველმა ჟურნალისტმა ცისნამ საყვარლიშვილმა „მის ქველმოქმედის“ ტიტული მოიპოვა. ცისნამმა ტიტულის შენარჩუნება ვერ შეძლო, რადგან კონკურსის ორგანიზატორებმა მას გვირგვინი ჩამოართვეს და „მის ქველმოქმედის“ ტიტული სვეტლანა კრამარს მიანიჭეს.

ინფორმაცია კონკურსის ორგანიზატორმა მერსი კონსეპსიონმა გაავრცელა და განაცხადა, რომ ქართველ კონკურსანტს ჩამოერთვა გვირგვინი და მისი ტარების უფლება აღარ აქვს.

ამის მიზეზი გახდა ფოტო, რომელიც ინტერნეტში გავრცელდა და მასზე კონკურსის მონაწილეებს დასცინიან. კონკურსის ორგანიზატორმა ცისნამისგან რასიზმის და ზიზღის შემცველი ინფორმაციის აღკვეთა მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ტიტულის ჩამორთმევის პირობა მისცა, რაც საბოლოოდ სისრულეში მოიყვანა.

ცისნამ საყვარლიშვილმა კონკურსის ორგანიზატორს განუმარტა, რომ ის ამ ამბავთან არაფერ შუაში იყო, თუმცა მერსიმ გადაწყვეტილების შეცვლა არ ისურვა.

ცისნამ საყვარლიშვილი:

– გრცხვენოდეთ თქვენ ამის გამო. ეს ადამიანები ყველაფერს ხედავენ, თარგმნიან და ყურადღებას აქცევენ! თქვენისთანები არცხვენენ ქვეყანას საზღვრებს გარეთ, ენებს რომ არ აჩერებთ. სირცხვილისგან ღამის მიწა გამისკდეს და შიგ ჩავვარდე. გილოცავთ, თქვენ გაიმარჯვეთ. იმდენი დასცინეთ, აგინეთ და გულის ამრევი სიტყვები დაწერეთ ამ კონკურსზე, რომ თქვენ გამო და თქვენი უარყოფითი პოსტების გამო, მე დავისაჯე. კიდევ ერთი ბოროტება გამიკეთეთ, როგორც მაშინ, როცა იტალიურ ტელევიზიაში რეკავდით და ჩემზე ეუბნებოდით, უსაბუთოს ნუ ამუშავებო. დღეს ბოროტებამ გაიმარჯვა, მაგრამ ხვალ სიკეთე გაიმარჯვებს. გილოცავთ, მიზანს მიაღწიეთ ქაჯებო!

სალომე კორკოტაშვილის ალბომი ნიუ იორკში გამოიცა



მომღერალი სალომე კორკოტაშვილი კარგა ხანია საკუთარ საერთაშორისო კარიერაზე ზრუნავს და ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა მუსიკალურ კომპანიებთან და ხმის ჩამწერ სტუდიებთან თანამშრომლობს.

სალომე ერთ-ერთი ამერიკული ხმის ჩამწერი სტუდიის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული გახდა და სამი კვირის განმავლობაში ამერიკაშიც იმყოფებოდა, სადაც სწორედ ამ სტუდიის წარმომადგენლებთან ერთად საკუთარ ალბომზე იმუშავა.

მომღერლის განცხადებით, ალბომი უკვე მზადაა და მასში შესული სიმღერები ამერიკის სხვადასხვა რადიოში დატრიალდება.

სალომე კორკოტაშვილი:

– ახალი ალბომი გამოვიდა!.. ეს სიმღერები დატრიალდება ამერიკის სხვადასხვა რადიოში. კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც მომცა იმის საშუალება, რომ წავსულიყავი ბალტიმორში. ალბომის პრეზენტაცია იქნება ნიუ იორკში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

კაცს ეკითხებიან:
– რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში ღვინოს?
– საპრიზო!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– ქალო, ერთი წამით მაინც გაჩუმდი, რომ გავიგო, დაიქოქა თუ არა მანქანა!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– გუშინ ერთი ლამაზი გოგონა გაუპატიურებას გადავარჩინე.
– მართლა, როგორ?
– დავიყოლიე!

●●●

მეზობელი მეზობელს ეუბნება:
– მილიონი დოლარი რომ მოგიტანო, რას გააკეთებ?
– გადავითვლი, შენი ამბავი რომ ვიცი...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:
– აბა, გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, რას განიცდი ჩემ მიმართ?
– მოთმინებას, ქალო, მოთმინებას!

●●●

ხანდაზმული ცოლ-ქმარი პლაჟზე წვანან. კაცს თვალი ახალგაზრდა ქალებისკენ გაურბის. გაბრაზებული ცოლი ეუბნება:
– მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე, დაბერდი და თვალი მაინც ახალგაზრდა გოგოებისკენ გაგირბის!
– ქალო, როდის იყო, ქორფა ბალახი ბებერ ხარს კუჭს უშლიდა?

●●●

ცოლ-ქმარს დაქორწინების 15 წელი შეუსრულდათ. დილით ცოლმა გაიღვიძა და ფიქრობს:
„დღეს 15 წელი გავიდა, ადგება ჩემი მეუღლე, წავა, ბეჭედს მიყიდის და მომილოცავს“.
ამ დროს კი ქმარი ფიქრობს:
„15 წელი გავიდა. მაშინ რომ მომეკლა, დღეს ციხიდან გამომიშვებდნენ“.

●●●

სასიძო ქალის დასანიშნად მივიდა, სასიმამრო გადაეხვია და ეუბნება:
– აჰა, მანქანის გასაღები, უხმარია, გოგოს კიდევ არა უშავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარსელოსა და მოდრიჩს მოედანზე კონფლიქტი მოუვიდათ

მადრიდის რეალში ამჟამად დაძაბული ვითარებაა, რადგან გუნდმა ჟირონასთან მოულოდნელი მარცხი განიცადა, რის შემდეგაც რეალი ბარსელონას უკვე 8 ქულით ჩამორჩება.

ჟირონასთან შეხვედრის დროს მოედანზე წაკამათდნენ ლუკა მოდრიჩი და მარსელო, რაც ოპერატორს არ გამორჩა და ესპანური პრესა ამ ორი ფეხბურთელის კონფლიქტზე ალაპარაკდა.

ლუკა მოდრიჩმა განაცხადა, რომ ეს მხოლოდ სათამაშო ეპიზოდი იყო და მარსელოსთან არავითარი კონფლიქტი არ არსებობს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ რეალში ამჟამად ყველაფერი რიგზე არ არის და ეს გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგებშიც აისახება.

სერხიო რამოსი: „პიკე ჩემი მტერი არასდროს ყოფილა“

მადრიდის რეალის ცენტრალურმა მცველმა სერხიო რამოსმა თავის კოლეგა ჟერარ პიკეზე ისაუბრა და თქვა, რომ მასთან კარგი ურთიერთობა აქვს. პიკესა და რამოსს მოედანზე ხშირად მოსვლიათ კონფლიქტები, მაგრამ ეს ყველაფერი მოედანზევე რჩება და მის გარეთ ეს ორი ფეხბურთელი მეგობრობს.

რამოსის თქმით, თამაშის დროს ფეხბურთელებს შორის კამათი ბუნებრივი მოვლენაა.

– პიკე ძლიერი ფეხბურთელია და მას პატივს ვცემ. ნაკრებში ჩვენ ხშირად გვიწევს ერთად თამაში და ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. პიკე ჩემი მტერი არასოდეს ყოფილა, – განაცხადა სერხიო რამოსმა.

კლაუდიო რანიერის ლესტერში დაბრუნება შესთავაზეს

იტალიელ სპეციალისტ კლაუდიო რანიერის ლესტერში დაბრუნება შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა. რანიერი ამჟამად ფრანგული ნანტის მწვრთნელია და ეს გუნდი მისი ხელმძღვანელობით საკმაოდ კარგ შედეგებს აჩვენებს.

მას შემდეგ, რაც კრეიგ შექსპირი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ლესტერის ხელმძღვანელებს სურდათ, რანიერი დაბრუნებულიყო, მაგრამ უარის მიღების შემდეგ მათ ამ თანამდებობაზე კლოდ პიუელი დანიშნეს.

შეგახსენებთ, რომ რანიერისთან ერთად ლესტერმა 2016 წელს ინგლისის ჩემპიონატი მოიგო.

კარლო ანჩელოტი ჯერჯერობით ფეხბურთში დაბრუნებას არ აპირებს

მას შემდეგ, რაც იტალიელი სპეციალისტი კარლო ანჩელოტი ბაიერნიდან გაათავისუფლეს, ის ჯერჯერობით გუნდის გარეშეა და უცნობია, თუ სად გააგრძელებს კარლო თავის სამწვრთნელო კარიერას.

თვითონ ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ჯერჯერობით ფეხბურთში დაბრუნებას არ აპირებს, თუმცა მომავალში აუცილებლად გაწვრთნის რომელიმე გუნდს.

იტალიურ მედიაში არ გამორიცხავენ, რომ ანჩელოტი მილანში დაბრუნდეს, რომელთან ერთადაც მან 2003 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

ბარსელონა ჯოშუა კიმიხით დაინტერესდა

ბარსელონა მიუნხენის ბაიერნის ნახევარმცველ ჯოშუა კიმიხით დაინტერესდა. კატალონიური გუნდი მზად არის, კიმიხის ტრანსფერში 50 მილიონი ევრო გადაიხადოს. კიმიხი გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და მან უკვე მოახერხა ბაიერნის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება. ბაიერნი თავისი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებს და 50 მილიონი საკმარისი თანხა არ არის.

რაც შეეხება თვითონ კიმიხს, ის ბაიერნში ბედნიერია და სხვა კლუბში გადასვლას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 3. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 4. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 7. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 12. ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმლისზედა ჯირკვალი; 14. მასწავლებელი, დამრიგებელი იაპონიაში; 15. საქართველოს ეროვნული გმირი, რომელიც ორჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 20. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი.

თარაზულად: 5. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 6. ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქტორი გერმანელი ძმების გვარი; 8. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 10. სტაფილოს ნაყოფში არსებული მოყვითალო ფერის პიგმენტი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 13. ხეივნანი ფართო ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება; 16. სახელმწიფო შუა აზიაში; 18. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 19. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ნარკოტიკებით წვრილმანი მოვაჭრე აშშ-ში; 22. უბანი თბილისში; 23. ველური ვაზი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა